# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · შაბათი, 12 ოქტომბერი 1996 №105 (330) · ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ბაბუნაშვილი
პერუჯიდან



## საკი — შაკიკი იტალიისთვის

იტალიაში, ღამით, პირველი მატარებლის გასვლამდე სადგურის შენობებს კეტავენ. პერუჯიდან რომისკენ დილის ხუთის ნახევრამდე არაფერი გადიოდა და ამიტომაც „სარბიელის" ორმა კორესპონდენტმა და სამმა ჩვენებურმა გულშემატკივარმა იქვე კაფეს შეაფარეთ თავი. ახალგაზრდა, ჯინსიანი ბიჭი გვემსახურებოდა. კაპუჩინოს და გრაცის მერე პაერი ორმარცვლიანმა სიტყვამ, საკიმ გააკეთა...

მე აღწერას კი შევეცდები, მაგრამ ეს უნდა გენახათ, ჯერ იყო რაღაც ჟესტი, ჩვენში უცნობი, შემდეგ კი „სკუადრაი აძურას" მწვრთნელის ფოლკლორული დახასიათება და იმის მტკიცება, რომ სანამ ნაკრებს ეს საზიზღარი ხელმძღვანელობს, ის ყველა შეხვედრაში მეტოქის მხარეს იქნება. მანამდე ჩემი ერთადერთი გუნდი „რომა" იქნებაო.

ამ საუბრამდე რამდენიმე საათით ადრე, როცა საკი გასახდელიდან თავისი სკამისკენ მიემართებოდა. იტალია ჩვენს ნაკრებს 10-ს უგებდა. მეორე ტაიმი უნდა დაწყებულიყო. პოლიციის რაზმით დაცულმა მწვრთნელმა, მოედნის გადაკვეთისას „შეშლილი" ტრიბუნის [illegible] (წინასწარ ჯერ [illegible] მოედანს [illegible] უნდა შემოევლო). მტრისას, ისეთი ამბავი ატყდა. წამოვიდა მაშხალებისა და ცეცხლიანი ჩირაღდნების სეტყვა. მოედანი კვამლით ისე დაიფარა, რომ მსაჯს რამდენიმე წუთით ტაიმის შეყოვნება მოუხდა. შემდეგ ნიავმა მაშხალების ნისლი გაფანტა და... რაც მოედანზე მოხდა ბევრმა ნახა (იტალიაში სტატისტიკის თანახმად 12 445 000 ტელემაყურებელმა), ამის თაობაზე დაიწერა კიდეც. ტრიბუნაზე შეკრებილმა ტიფოზებმა კი ცოტაც აცალეს და ასე 25 წუთის შემდეგ რამდენჯერმე თავიანთ ფეხბურთელებს სიფრთხილე და შიში რომ შეატყვეს, ვინც ქართველებმა არ გაგვიტანონო ჩვენი გუნდის აშკარა ქომაგობას მიჰყვეს ხელი. ქართველები ერთმანეთს პასებს აწვდიან, ოლე-ოლე, აყოლებენ იტალიელი ქომაგები რამდენი პასიცაა იმდენი ოლეა. ვერ უღალატეს ტიფოზებმა ერთადერთ კაცს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, თანარაიონელ ფაბრიციო რავანელის.

ტრიბუნაზე „ფორცა იტალიის" ნაცვლად „ფაბრიციო იტალიაა" გამოფენილი ვეებერთელა პლაკატი... თამაშის დაწყებამდე, ტაიმის შემდეგ, მეორეს დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ ჭაღარა სოფლელი ბოლ[illegible]-შემოდის. ჯერ ყველა შემოვა, შემდეგ პაუზაა და ბოლოს... რავანელი.

ჰო, მართლა. შეხვედრის დაწყებამდე ფრიად მაინტერესებდა, როგორ მოიქცეოდნენ ტიფოზები საქართველოს ჰიმნის მოსმენისას. მახსოვს, სოფიაში ორი წლის წინ, ბულგარელებმა ჩვენი სახელმწიფოს მთავარ მელოდიას საშინელი სტვენა აუტეხეს. იტალიელებს არ უსტვენიათ, არც უსმენიათ — თავისას მღეროდნენ რაღაცას და ერთიანად დახტოდნენ ტრიბუნაზე.

თამაშის შემდეგ, პაწაწინა ოთახში პრესკონფერენცია გაიმართა. შემოვიდა საკი და დაიწყო კითხვა-პასუხი. ვის ახსოვხარ, ვინ რას გითარგმნის!! ქართველი ჟურნალისტები გარეთ გამოვედით და გასახდელებთან ჩავსაფრდით. აქ გაცილებით სჯობია.

თავიდან გულმა ლევან კობიაშვილისკენ გამიწია. ხუმრობა როდია, ამ ყმაწვილკაცს პირველად მოუწია ოფიციალურ შეხვედრაში თამაში, თანაც, მოიტყევით „ლირიული გადახვევა", მაგრამ მინდა ვთქვა, რომ კობიაშვილმა ჩვენი მოკლე საუბრის განმავლობაში ფრიად ზრდილი და წესიერი ბიჭის შთაბეჭდილება დატოვა.

როგორი ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში იტალიელებთან თამაში?

— კარგად ვითამაშეთ, კმაყოფილი ვარ. პირადად ჩემი თამაშით ისე არა, უკეთ შემეძლო, მაგრამ გუნდმა კარგად ითამაშა.

**— ორი ტაიმი ასე რატომ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან?**

— თავიდან შებოჭილები ვიყავით. რომ გავარკვიეთ რა და როგორ, ზოგ მომენტში ვაჯობეთ კიდეც.

ტაიმებს შორის განსხვავებაზე **თემურ ქეცბაიასაც** ვკითხე.

— თანდათან გავერკვიეთ. აზრზე მოვედით, რომ მათთან თამაში შეიძლებოდა. სამწუხაროა ტაიმის ბოლო წამებზე რომ გავუშვით. ცოტა ბედიც...

**— სიგოლე მომენტზე რას გაიხსენებ?**

— მინდოდა მეკარისთვის ბურთი თავზე გადამეგდო, მაგრამ მასთან უკვე ძალზე ახლოს ვიყავი.

**მურთაზ შელია** ვერაფრით ეგუებოდა იმ აზრს, რომ იტალიელებთან ასე ითამაშეს და მაინც წააგეს გაშვებულ გოლზე:

— ზოიძ დაიყვირა გამოვდივარო... მაინც ერთმანეთს დავეჯახეთ.

**ალექსანდრე ჩივაძეს** აეტობუსის კართან მივასწარი...

— თვითონ ფეხბურთელებმა შესძლეს თავის ხელში აეყვანა. შეიტყვეს, რომ საშიში არაფერია და კარგად თამაში სრულიად შესაძლებელია. ამას ტაქტიკური ცვლილებებიც დაემატა და ამიტომაც იყო მეორე ტაიმი უკეთესი.

ჩივაძესთან ნასაუბრები მოვტრიალდი და რობერტო დი მატეოს შევეფეთე.

**— ზოგადად როგორ დაახასიათებდით შეხვედრას?**

— პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ, შევძელით უპირატესად პრესინგის თამაში და მეტოქეს იოტისოდენა შანსიც არ მივეცით. კარგი იყო მეორე ნახევრის 10-15 წუთიც, მერე კი ქართველებს დიდი სივრცე დავუთმეთ. რაც არ უნდა გვექნა, რადგან ისინი ერთობ ტექნიკურები არიან. მართალი რომ გითხრათ, ცუდად არც ბოლო 30 წუთი გვითამაშია. თუნდაც იმ მონაკვეთში, ერთი შეხედვით ქართველებმა რომ გვაჯობეს, მათ მხოლოდ ორი მომენტი შექმნეს, ჩვენ კი მეტი.

**— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს.

დი მატეო იმ იშვიათ იტალიელთაგანია, ინგლისურად რომ ლაპარაკობს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი „ჩელსიში" თამაშობს. მასთან საუბარი წამის დამთავრებული მქონდა, რომ იქვე მდგომი და მის სხივებში მობანავე ერთი ბიჭი გადამეკიდა ვინდა თუ არა მე შემხედეო. რა ვინდა-მეთქი. დი მატეო იცნობდა. თურმე „ჩელსის" სიმბოლიკიანი ქუდი აბურავს და იმას მაჩვენებს. ეტყობა ფეხბურთელს თავს აწონებდა შენი ქომაგი ვარო.

გარეთ, სტადიონიდან გასასვლელთან კი კარაბინერების მწკრივს უკან ხალხი იყო შეგროვებული. მათ ერთადერთი მიზანი ჰქონდა — საკისთვის ეგინებათ.

„გმადლობთ რავანელი და გმადლობთ ტოლდო" — წერდა მეორე დილით „გაძეტა დელო სპორტი", რომელსაც ცხადია თავიანთი გუნდის მწვრთნელის ლანძღვა არ დავიწყებია. პირველ გვერდზე კი მოზრდილი ასოებით ტოლდომ გადაგვარჩინაო აცხადებდა. გაზეთმა მოთამაშეთა გარჯა ასე შეაფასა.

საქართველო: ზოიძე 6,5; ცხადაძე 6; ლობჟანიძე 6; შელია 6,5; კუდინოვი 5, (ინალიშვილი 6); კობიაშვილი 6; ქინქლაძე 6,5; ქეცბაია 6,5; ნემსაძე 6,5; გოგიჩაიშვილი 5,5; ვოგრიჭიანი 5 (რ. არველაძე 6)

იტალია: ტოლდო 7; პესოტო 6; ნესტა 5,5; ფერარა 6; მალდინი ; დი ლივიო 6; პანუჩი (შეფასების გარეშე); კონტე 6,5; (დ. ბაჯო 5); დი მატეო 6; კარბონი (შეფასების გარეშე); (ძოლა 6); კაზირაგი 5,5; რავანელი 6,5.

„კორიერე დელო სპორტის" აზრი კი გაზეთის ტიტულის ქვეშვე დიდი ასოებითაა გადმოცემული. ჯერ: პერუჯაში ძალიან ცუდი თამაშის შემდეგ საჭიროა საკის შემცვლელის მოძებნა. შემდეგ: ნაკრებში შეიძლება ძოფი მოვიდეს.

მაგრამ ნუ იჩქარებთ, გადაშალით მესამე გვერდს და „არსადაც არ წავალ" — ვისი ნათქვამია დიდი მსჯელობა არ სჭირდება.

ზურაბ მექველია
ლონდონიდან



„წავაგეთ, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ — ხუმრობა ხომ არაა, იტალიის ნაკრებს მთელი მეორე ტაიმი ვჯობდით. ჩივაძეც კმაყოფილი იყო" — მითხრა გიო ქინქლაძემ, ვისაც ხუთშაბათს დავურეკე. სამწუხაროდ, პერუჯის თამაშის მხოლოდ ფრაგმენტები ვნახე, თუმცა იტალიური და ინგლისური გაზეთებიდან შევიტყვე, რომ ჩვენებს ურიგოდ არ უთამაშიათ. გიომ საბოლოოდ დამარწმუნა ამაში და თუ ამჯერად

## თბილისში ასე ვერას გავხდებით

არ გაგვიმართლა და ქულა ვერ ავიღეთ, 9 ნოემბერს ერთბაშად სამს უნდა გამოვკრათ ხელი. არავის ეგონოს ეს იოლი საქმე. მითუმეტეს, რომ ინგლისელები მეტად სერიოზულად ემზადებიან თბილისური მატჩისთვის. აქაური პრესა და თვით გლენ ჰოდლიც, მოგების მიუხედავად, უკმაყოფილონი დარჩნენ პოლონეთთან თამაშით.

„უემბლიზე" ყველაფერი ძველებურად იყო, ანუ ისე, როგორც ევროპის ჩემპიონატის დღეებში. ოღონდ ერთი განსხვავება თავიდანვე მეცა თვალში — პრეს-ცენტრში ფაქსი არ იყო (?!). დანარჩენი — უფასო კვება ჟურნალისტებისთვის, სავსე ტრიბუნები, „უემბლის" განუმეორებელი ატმოსფერო და სიმღერა — „ფეხბურთი შინ ბრუნდება" — ადგილზე დამხვდა. კიდევ ერთი სხვაობა ევრო 96-თან 90 (!) პოლონელი ჟურნალისტი იყო. გავიფიქრე — ამდენი ჟურნალისტი კი არა, გულშემატკივარი თუ ჩამოჰყვა საქართველოს ნაკრებს, კარგი იქნება-მეთქი.

„დიახ, ფეხბურთი სახლში დაბრუნდა, მაგრამ შინ მხოლოდ შირერი დახვდა" — ასე დაასათაურა „სანმა" ამ მატჩის რეპორტაჟი. სხვა გაზეთებიც ამ აზრის იყვნენ და ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს სამი ქულა უმეტესწილად ინგლისის ნაკრების კაპიტნის დამსახურებაა. „ამ ორ გუნდს შორის განსხვავება შირერი იყო" — წერს „ივნინგ სტანდარდი". „დეილი მეილი" კი მოგებისთვის მადლობას უხდის დევიდს (იგულისხმება სიმენი. ზ. მ.), ალანს და... წმინდა გიორგის. მეც ვეთანხმები ამ აზრს, მაგრამ არის კიდევ ერთი კაცი, ვისაც ინგლისელებმა მართლაც დიდი მადლობა უნდა გადაუხადონ — სტუმართა მეკარე ანჯეი ვოზნიაკი. სწორედ მისმა უაზრო გამოსვლამ კარიდან 24-ე წუთზე კარდინალურად შეცვალა თამაში, რომელიც მანამდე პოლონელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. მატჩის ამ მონაკვეთზე გლენ ჰოდლი ამბობს: „მე ველოდი პოლონეთის გუნდის ასეთ თამაშს, მაგრამ ბევრს „უემბლიზე" გაუკვირდა, რომ სტუმრებს ასე შეძლებიათ ბურთაობა. სამწუხაროდ, გაკვირვებულთა რიცხვში რამდენიმე ჩვენი ფეხბურთელიც გაერია".

არადა, ვოზნიაკს მანამდე საქმე არ ჰქონია. ის კი არა, პოლონელი გულშემატკივრები, ერთი ტრიბუნა მთლიანად რომ გაავსეს, კიდევ ერთ გოლს მოითხოვდნენ. იყო კიდეც ამის შესაძლებლობა, მაგრამ იმ დღეს ვარეიხა ვერ იყო იმტაზე, საბოლოო დარტყმა ვერც სხვამ შეასრულა ხეირიანად და პოლონეთი ერთ გოლს დაკმაყოფილდა. ვგონებ, ბევრჯერ ინატრა სტუმართა მწვრთნელმა ანტონ პეხნიჩეკმა ანჯეი იუსკოვიაკი, მაგრამ ამას ივნისში რუსეთის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრის მერე უთქვამს — სანამ პეხნიჩეკი იქნება გუნდში, არ ვითამაშებო და დღემდე სიტყვას ასრულებს.

პირველივე წუთზე მოედნის ცენტრში [illegible] ბურთი დაკარგეს და [illegible] ინგლისელი [illegible] ალმოჩნდა. [illegible] ჩამოსწრებული [illegible] კესქოინის თავგანწირულმა ფეხებში ვარდნამ გადაარჩინა იმ მომენტში მასპინძლები, მაგრამ ჭკუა ვერ ასწავლა — შეცდომას შეცდომა მოსდევდა. ამის ნაყოფი ინგლისმა ნამეტანი სწრაფად იგემა — მეშვიდე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი ვარეიხამ გაატარა, ამას საუთგეიტი და ნევილი წამოეგნენ და ეულად დარჩენილმა მარეკ ციტკომ, „ვიძევის" 22 წლის თავდამსხმელმა, ნაკრებში სულ მეოთხედ რომ თამაშობდა, ანგარიში გახსნა. ინგლისი დაიბნა. ამის ნათელი მაგალითი ორ წუთში მომხდარი ეპიზოდი იყო — ციტკომ მარცხნიდან ჩააწოდა, მაგრამ მის თანაგუნდელთაგან მეტოქის საჯარიმოში არავინ აღმოჩნდა, თუმცა... ჯერ საუთგეიტი შეეცადა ბურთის ვარდნაში მოგერიებას, მერე კი შეშინებულმა პირსმა ასევე ვარდნაში ბურთი საკუთარი კარისკენ დაარტყა. სიმენის და საერთოდ ინგლისის საბედნიეროდ, ბურთი კარს ცოტათი აცდა და კუთხურზე გავიდა. მალე საჯარიმოს ხაზიდან ყველასგან მიტოვებულმა ვარეიხამ დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ბურთი საუთგეიტს მოხვდა და კვლავ კუთხური. სტანდარტული სიტუაციები თუ კარში დარტყმები საგანგებოდ არ მითვლია, მატჩის შემდეგ ხელად გვაახლეს და აღმოჩნდა, რომ პოლონელებმა კუთხურებითაც „მოიგეს" (8:6) და კარში დარტყმებითაც (14:12), თუმცა გოლებით წააგეს, ფეხბურთში კი დღემდე, საბედნიეროდ, მთავარი სწორედ გოლია.

გაგრძელება მეორე გვერდზე

Kappa

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ

ბატონ ნოდარ ახალკაცს
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
ტურინი, 30 სექტემბერი, 1996 წ.

ბატონო ნოდარ!

გვცნობებთ, რომ დღეს მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი 29 სექტემბრით დათარიღებული წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უარს აცხადებს „კაპას" ტექნიკურ სპონსორობაზე.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთი განცხადი ჩვენთვის მოულოდნელი სიურპრიზი გახლდათ. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით გვსურს შეგახსენოთ ორი საკითხი:

1. იურიდიული მხარე.

მიმდინარე წლის 1 აპრილს ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულების მე-6 პუნქტის საფუძველზე ჩვენ მოგვენიჭა სპონსორობის ოფცია 4 წლით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ოფცია იურიდიულად ავალდებულებს ხელშეკრულების მონაწილეებს — სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არა აქვს იურიდიული უფლება, უარი თქვას „კაპასთან" ხელშეკრულებაზე.

აქედან გამომდინარე ტექნიკური სპონსორობის შესახებ თქვენი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მაშინ, როდესაც ხელი მოაწერეთ ხელშეკრულებას.

ჩვენ ნათლად გამოვხატეთ ჩვენი მოვალეობის შესრულების სურვილი და 30 სექტემბრამდე ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გამოგიგზავნეთ ახალი კონტრაქტის ნიმუში.

2. სახელმწიფოებრივი მხარე.

ამა წლის მარტში შეხვედრისას ჩვენ განგიმარტეთ „კაპას" გეგმების შესახებ საქართველოში. მოგახსენეთ, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება ინდუსტრიული და კომერციული სტრუქტურების ინვესტირების შესახებ და ამ პროექტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეჭირა. ვენდეთ ამ ქვეყანას და მისი ოფიციალური ინსტიტუტების წარმომადგენლებსაც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა მანამდე, სანამ გაირკვეოდა, რომ იტალია და საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებში ერთად გამოვიდოდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი მხარე ზუსტად ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

შეგახსენებთ, რომ უმოკლეს დროში დამზადებული იქნა ფორმის ახალი დიზაინი; შეცვლილი იქნა წარმოება, რათა თქვენი გუნდისთვის დროულად მოგვეწოდებინა უმაღლესი ხარისხის, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ფორმა (როგორიც არის, მაგალითად „იუვენტუსის", „ბარსელონის" და სხვათა). და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ფედერაციას გაეგზავნა ბევრად მეტი სპორტული პროდუქცია, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

3. დასკვნა.

ვითვალისწინებთ რა ზემოთ თქმულს, მოგახსენებთ: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე გავწიეთ ინვესტიციები საქართველოში და ამას მომავალშიც ვითვალისწინებთ, მიუღებლად მიგვაჩნია თქვენი პოზიცია. რის გამოც შევეცდებით ვიხმაროთ ყველა ძალ-ღონე, რაც ჩვენს შესაძლებლობებშია, რათა დავიცვათ ჩვენი უფლებები, რომლის განხორციელებასაც დავიწყებთ იტალია–საქართველოს შეხვედრიდან პერუჯაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგახსენებთ, რომ ამ ფაქტმა შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ჩვენი პროექტის შემდეგომ განხორციელებაზე.

ვიმედოვნებთ, რომ სწორედ მიუდგებით ჩვენს მიერ წამოწეულ საკითხებს და ველით თქვენს პასუხს.

„კაპას" ლიცენზიებსა და საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი
ჯან პაოლო ლეპრონი.

**„სარბიელი" შეეცადა გასაუბრებოდა ორივე მხარეს და ამ წერილისთვის შესაბამისი კომენტარებიც დაერთო, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ მოგვიხერხდა: იტალიელები ვერ მოვიხელთეთ თავიანთ ოფისში, ჩვენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმაც ჯერ თავი შეიკავა კომენტარისგან, უფრო იმიტომ, მოუცლელი გახლდათ — გუშინ ფედერაციაში დიდი სტუმრიანობა ჰქონდათ, თანაც, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები მცხეთაში რუსების გუნდს ეთამაშებოდა.**

## ფილიპოვიჩი ორშაბათამდე მუნჯია

თბილისის „დინამოს" დირექტორატიდან გვამცნეს, რომ პორტუგალიიდან მიღებული ფაქსის თანახმად, „ბოავიშტა" კვირას, 19 საათზე ჩამოვა თბილისში. გუნდის მთავარი მწვრთნელი ფილიპოვიჩი არცერთ ჟურნალისტს არ დაელაპარაკება ორშაბათის 12 საათამდე, ამ დროისთვის კი იგი პრესკონფერენციას გამართავს სასტუმრო „მეტეხში".

„ბოავიშტასთან" 15 ოქტომბრის თბილისური მატჩი 18 საათზე დაიწყება. საპასუხო შეხვედრა პორტუში 29 ოქტომბერს ადგილობრივი დროით ღამის ათის ნახევარზე დაიწყება, რაც ჩვენი დროით ნაშუაღამევი, ორის ნახევარია.

## წუხელ

გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების ზოგიერთი მატჩი.

**გერმანიის** ჩემპიონატი. მეათე ტური: ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 1:0, მიუნხენი — ზანქტ პაული 4:2.

**თურქეთის** ჩემპიონატი. მეცხრე ტური: სარიერი — ანკარაგიუჯუ 2:1.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატი. მეათე ტური: სიტარდი — ეინდჰოვენი 1:1.

## მომდევნო „სარბიელში"

**მარადონა:**

**ქინქლაძის დიდი გულშემატკივარი ვარ**

# ასე ვერას გავხდებით

გაგრძელება მეორე გვერდზე

დავუბრუნდეთ ისევ მატჩის პირველ ნახევარს. შირერის გოლამდე ჰოდლის ბიჭებს მხოლოდ ერთი გააზრებული შეტევა ჰქონდათ სათვალავში — მე-13 წუთზე მაკმანამანმა კარგად გაიყვანა შირერი, მაგრამ ამას იუყევიაკმა დაასწრო — შირერი დაეცა და მსაჯს პენალტი მოსთხოვა. ეს იყო და ეს. მერე კი ის, პოლონელთათვის ავადსახსენებელი ამბავი მოხდა და თითქოს აბაზანიდან ხაცობი ამოუძრიათო, ინგლისმაც ისე იხუვლა. გესქოინის შეტევა მიხალსკიმ რისვაი-ვაგლახით ბოლო მომენტში ჩაშალა, 38-ე წუთზე კი მსოფლიოში უძვირეს-სმა ფეხბურთელმა თავისი და გუნდის მეორე გოლიც შეაგდო. ეს ასე მოხდა: შირერმა საჯარიმოს გარედან დაარტყა, ბურთი მოხვდა ერთ-ერთ პოლონელს, მერე კი ფერდინანდს. ამან სტუმრისგან განსხვავებით ბურთი დაამუშავა და ისევ შირერს დაუგორა, თან, ჭკუა იხმარა და მოედანზე დაემხო — ემანდ ისევ მე არ ვამარტყასო. ევრო-96-ის გოლეადორმა ამჯერად ყველას ააცილა და ბურთი ცხრიანში გაარტყა. შესვენებამდე მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტის შექმნაღა მოასწრეს — მე-40 წუთზე ჰინჩქლიფის კუთხურის (ნამეტანი სახიფათოდ აწოდებს. ამ განხრით მგონი თვით ბასლერზე უკეთესიცაა) შემდეგ შირერმა თავური აიცილა, ორ წუთში კი ნოვაკის დარტყმული ბურთი, ცხრიანში რომ მიდიოდა, სიმენმა კუთხურზე მოიგერია. სანამ მეორე ტაიმის აღწერას შევუდგები, არ შემიძლია ორი სიტყვა არ ვთქვა პიოტრ ნოვაკზე. „მიუნხენ 1860"-ის 32 წლის ნახევარმცველი ნამდვილად საუკეთესო იყო პოლონელთაგან. იგი თამაშის მანერით ქინქლაძეს მაგონებდა, ოღონდ ხანდახან ისე სწრაფად აკეთებდა ყველაფერს, გაოცებული ვრჩებოდი. მარტო ის რად ღირს, რომ პირველად ნოვაკმა ბურთი 50-ე (!) წუთზე დაჰკარგა, პირველი არაზუსტი პასი კი 82-ე (!) წუთზე გააკეთა.

შესვენებაზე, ცხადია, ორივე მწვრთნელს ენა არ გაუჩერებია. მატჩის მერე ჰოდლმა ისიც კი თქვა, ძალიან მკაცრად ველაპარაკე ფეხბურთელებს, ხმის აწევაც კი დამჭირდაო. ინგლისელთა მწვრთნელს მეორე ტაიმისთვის ორიდან ერთი ვარიანტი უნდა აერჩია — ან მინიმალური სხვაობის შენარჩუნება, ანაც ერთ გოლზე ფიქრი. ჰოდლმა, „უემბლიზე სამწვრთნელო დებიუტი რომ ჰქონდა, მეორე ვარიანტი ირჩია და ისეთი თამაში გაჩაღდა, ჩვენს დროში აფრიკის ჩემპიონატზეღა რომ შემორჩა — ანგარიში რომ არ გცოდნოდა კაცს, ვერ გაიგებდი, ვინ აგებდა და ვინ იგებდა: პოლონეთის შეტევას ინგლისისა ცვლიდა და პირიქით. ასეთი თამაში ბოლო წუთებშიც კი არ შეწყვეტილა. ჩემს ჩანაწერებს რომ ჩავხედე, აღმოვაჩინე, რომ ბოლო 11 წუთში ორივე კართან 9 სახიფათო მომენტი შეიქმნა და თუ სტუმართაგან ასეთი ტაქტიკა ანგარიშიდან გამომდინარე მოულოდნელი არ იყო, ინგლისელთაგან... „ასეთი ტაქტიკით თამაში გულშემატკივრებისთვის კარგი სანახავია, მაგრამ რას მოვიგებთ ამით, ძნელი სათქმელია" — წერს „ივნინგ სტანდარდი". მოკლედ, მეორე ტაიმი გულშემატკივრისთვის მშვენიერი სანახავი გამოდგა. აქ რომ ამ 45 წუთში შექმნილი ყველა სახიფათო მომენტი ჩამოვთვალო, მთელი მივლინების ფული ამ რეპორტაჟში დაიხარჯება და თბილისში ინგლისელ ფეხბურთელებზე ადრე ჩამოსვლა მომიწევს, ამიტომ მხოლოდ 88-ე წუთზე მომხდარ ეპიზოდს გავიხსენებ, როცა შირერის წყალობით ფერდინანდი ვოზნიაკთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გაფარჩხულ მეკარეს ფეხში გაარტყა. საერთოდ, ფერდინანდ — შირერის დუეტის ავ-კარგიანობა საერთაშორისო სარბიელზე (ინგლისში კი ჯერ კარგად მოქმედებს), პრესის აზრით, ჯერ კიდევ დასადგენია. ფერდინანდი ხვდება, რომ მისი თამაშით აღტაცებული არავინ დარჩენილა, ამიტომაც იმახის, დიდი იმედი მაქვს, რომ თბილისშიც მე და შირერი ვათამაშებთ და ჩვენს ძალას იქ დავამტკიცებთო.

– მატჩის შემდეგ ჰოდლმა განაცხადა, რომ შირერის გოლებს ფარად არ გამოიყენებს და მიიღებს მოსალოდნელ კრიტიკას. მისი თქმით, შეცდომა იქნება მხოლოდ დაცვის ხაზის კრიტიკა — მთელი გუნდი ვერ იცავდა თავს ხეირიანად. ჰოდლის აზრით, ფეხბურთელების მთავარი შეცდომა ის იყო, რომ აჰყვნენ „უემბლის" ატმოსფეროს და ემოციებს, ხოლო როცა აღმოაჩინეს, რომ პოლონეთი ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ არის, გადაწყობა გაუჭირდათ. თუმცა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, შეცდომების მიუხედავად, მაინც თვლის, რომ გამარჯვებას მისი გუნდი უფრო იმსახურებდა. ცხადია, ამაში მას არ ეთანხმება პეზნიჩეკი, რომელმაც თავის მხრივ განაცხადა, ჩვენ ვიმსახურებდით გამარჯვებასაც კი, ფრეზე რომ აღარაფერი ვთქვაო.

ასე იყო თუ ისე, ინგლისმა მოიგო. ისევე, როგორც იტალიამ, მაგრამ ყველა დარწმუნდა, რომ მართალი იყო ანტონ პეზნიჩეკი, ვინც ლონდონში ჩამოსვლის დღეს აქაურ ჟურნალისტებს უთხრა: ცხადია, ჯგუფში ორი ფავორიტია — იტალია და ინგლისი, მაგრამ ჩვენ და საქართველოს ნაკრები იმ მოკრივეს ვგავართ, თავს ორივე ხელით რომ იცავს, თუმცა როდის მოქნევს და წააქცევს მეტოქეს, არავინ იცის...

ჩვენი ნაკრები რომ უკვე საკმაოდ სახელდაგდებულია, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ინგლისელები სრული სერიოზულობით ემზადებიან თბილისური მატჩისთვის. პრესაც, თავის მხრივ, სწორედ ნამდვილი ბრძოლისთვის განაწყობს თავისიანებს, თუმცა თავადაც საკმაოდ შეფიქრიანებულია. მითუმეტეს პერუჯის მატჩის შემდეგ. „ასეთი თამაშით ჩვენ ვერაფერს გავხდებით მომდევნო თვეს თბილისში" — წერს იგივე „ივნინგ სტანდარდი", „დეილი მეილის" საფეხბურთო მიმომხილველი ნილ ჰარმანი კი თავის წერილს ინგლის — პოლონეთის მატჩზე ასე ამთავრებს: „ჰოდლს უამრავი სამუშაო აქვს ხვალიდან 9 ნოემბრამდე, როცა ჩვენმა ნაკრებმა თბილისში უნდა ითამაშოს. სხვისი არ ვიცი და, მე კი უკვე ტანში მაჟრიალებს, როცა წარმოვიდგენ, რა შეიძლება მოხდეს საქართველოს დედაქალაქში."

და ბოლოს, „სარბიელის" მკითხველებს მინდა შევთავაზო ჩვენი მომავალი მეტოქის ყველა ფეხბურთელის მოკლე შეფასება.

სიმენი: ციტკოს გოლში მისი დადანაშაულება გიჟს თუ შეუძლია. დანარჩენ მომენტებში ევრო-96-ის სტანდარტებით მოქმედებდა;

ნევილი: შეცდა გოლის დროს, თუმცა მისი ფრთიდან დიდი საფრთხე შემდგომში არ ყოფილა;

პირსი: თავიდან დაიბნა. ის ქინიც აკლდა, ევროპის ჩემპიონატის მატჩებში რომ ახასიათებდა, მაგრამ მალე გამოერკვა;

ინსი: ამანაც სუსტად დაიწყო და ვერ მიხვდა, დაცვას უნდა დახმარებოდა თუ შეტევას. პირველი ტაიმის მიწურულს დაწყნარდა და ჩვეულად ათამაშდა, თუმცა ამჯერად შეტევაში მინიმალური ჩართვებით;

საუთგეიტი: გოლის დროს ესაც შეცდა. მისი „უემბლის" კოშმარი, გერმანიასთან გაფუჭებული პენალტით რომ დაიწყო, გრძელდება — ამჟამად ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, გასულიყო;

ჰინჩქლიფი: ნაკრებში მეორე თამაშს ატარებდა. გამოირჩეოდა ქინით. ცაციით სახიფათო კუთხურებს და ჯარიმებს აწვდის;

ბექჰემი: ესაც მეორედ თამაშობდა ნაკრებში. პირველად — „უემბლიზე". ალბათ, ამიტომ ძალიან ღელავდა — ერთხელ ფეხიც კი აერია და დაეცა. საგოლე პასი ჩინებული გამოუვიდა. შეტევის მარჯვენა ფრთაზე მაკმანამანთან მეტი შეთანხმება სჭირდება;

გესქოინი: ბევრი იმუშავა, ბევრი იბრძოლა, ცოტა წაილაზღანდარა და ორი გენიალური პასი გააკეთა;

შირერი: მატჩის პროგრამაზეც მისი ფოტო იყო და ბილეთებზეც კი. გაამართლა.

ფერდინანდი: დასარტყმელ პოზიციაზე მხოლოდ ორჯერ იყო — ერთხელ მეკარეს გაარტყა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მაღალ ბურთს ერიდებაც კი მოუგებს.

მაკმანამანი: ისევე როგორც „ლივერპულში", აქაც დაუღალავად ირბინა, ორჯერ კარგად ჩაუდრიბლინგა, რამდენიმე კარგი პასიც გააკეთა.

პალისტერი: მოედანზე მისი შესვლა უცბად მოხდა, ამიტომ თამაშში ხეირიანად ვერ ჩაერთო და ორჯერ ყველა ანერვიულა. ბოლოსკენ ბურთის შორს მოგერიებაში დიდი ოსტატობა გამოიჩინა.

გოგი ახვლედიანის

სვეტი

## წიხლით, ბატონებო, წიხლით!!!

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თვეებში საგრძნობლად გამხდარ არიკო საკის შეშინებული, ბედისწერას მინდობილი კაცის გამოხედვა აქვს — ჯგუფი მაინც ძალიან ძლიერი შეგვხვდა.

იტალიის ნაკრები, რომელიც საერთოდ არ არის იტალიის ნაკრები ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, არამედ აღმა-დაღმა მორბენალ, გაუგებრობებით თავგზადაბნეულ საშუალო იტალიელ მოთამაშეთა კრებულს წარმოადგენს, მაინც ქულათა მაქსიმუმის მფლობელია.

ეს ის ორი გამარჯვებაა, იტალიელებმა პოსტსაბჭოთა სივრცეს რომ გამოზბდღვნეს და ალბათ, არც არავის გაკვირვებია მათი მოგება, მაგრამ მაინც მგონია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ნაცვლად პოსტიუგოსლავიურ სივრცეში რომ შეჭრილიყო საკის გუნდი, საქმე სხვანაირად წაუვიდოდა.

იტალია მძიმედ იწყებს ხოლმე საკვალიფიკაციო შეჯიბრს, მაგრამ ამ სიმძიმით, ძნელად რომ რაიმე დააკლდეს.

საქართველოს ნაკრებს კი მძიმედ დაწყება ძალიან ძვირად უჯდება ხოლმე.

რა ვქნათ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი — ფორმულირება „ღირსეული თამაში", რაც, ერთი მხრივ, მართლაც რომ ღირსეული რამ არის, რადგან მესამე წელიწადია, რაც ოფიციალურ სანაკრებო თამაშს მივდევთ და საქმეს რეალურად უნდა შევხედოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ მეოცნებე ხალხი ვართ — ბევრს ვლაპარაკობთ მომავალ დიდ გამარჯვებებზე და გულში იმედის ნაპერწკალი გვიღვივის.

არის ამქვეყნად გუნდები, რომლებიც კარში ღგანან და ბურთს წინ ურტყამენ. ეს გუნდები წლობით თამაშობენ ასე. მაგრამ ისინი ბურთს ჯიგრიანად იგერიებენ. ერთი თამაში და ორი სხვადასხვა ტაიმი ასეთმა გუნდებმა არ იციან და საერთოდ, ძნელია დაიბრუნო თამაში, რომელიც დაკარგე ძალიან ძნელია. მგონია, რომ ამიტომ წავაგეთ და არა იმიტომ, რომ იტალია რაღაც ზღაპრული გუნდია. ნუთუ ძნელი ორივე ტაიმის ერთ თამაშში მოქცევა?

იტალია თუ ასეთად დარჩა, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რა ელის ამ გუნდს ვარშავასა და ლონდონში. ძალიან მინდა, რომ აჟურა ბიჭებს თბილისში მაინც არ მოვუწყოთ ფროხილი და პასიური ტაიმი. აქ ქარცეცხლი უნდა გავუმართოთ.

ჩვენს მურდალ ჯგუფში არ იქნება უბრალო და იოლი თამაშები — ამაში ოთხშაბათს დავრწმუნდი. ფავორიტთა სახელებზე ფიქრისას ქომაგებს როგორღაც მიავიწყდათ პოლონეთის ნაკრები, რომელიც, რაღა დაგიმალოთ და, გუნდი ყოფილა. ტემპი, დისციპლინა, ძლიერი დარტყმები, უხეში სარმები, თავდაუზოგავი ბრძოლა და კომბინაციური თამაშები (ვფიქრობ, ჩვენი ერთ-ერთი ნაკლი) — აი, პოლონეთის ნაკრები დღეს.

შემოდგომა ისედაც არ ითვლება სანაკრებო თამაშის ხარისხის აპოთეოზად და პოლონელებმაც ვერ აჩვენეს დიდი სიღრმეები უემბლიზე (ასეთი რამ არც სრულიად ახლებურ ინგლისის ნაკრებს უჩვენებია), მაგრამ მათ აჩვენეს უშიშრობა და სიმტკიცე ღია ბრძოლაში.

საქართველოს ამათთანაც უწევს თამაში და ბრჭყალების გამოჩენა მართებს.

ალბათ, ღვთის შეწევნით, თანდათან უნდა წავიდეს ეს დრო, დრო, რომლის საფეხბურთო მახასიათებელიც ჩვენში ასეა გამოთქმული — „კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ".

მსოფლიოს არცერთ სტადიონზე ქომაგები არ ითხოვენ კარგ თამაშს, ისინი ითხოვენ მოგებას და სპორტის არსიც ეს არის — შეჯიბრი.

რა სჯობს ღირსეულად მოგებას?

ღირსეულად წაგება კი ალბათ გულისხმობს მოედანზე ჯენტლმენურად ქცევას და ისე წაგებას და არამც და არამც იმას, რომ მაყურებელი კმაყოფილი იყოს.

ახლა აღარავინაა ისეთი, მოკრძალებით რომ აკაკუნებდეს საფეხბურთო მსოფლიოს კარზე.

წიხლით, ბატონო, წიხლით!

ისე, როგორც მეორე ტაიმში.

### შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

I ჯგუფი

**დანია — საბერძნეთი 2:1**

**დანია:** შმაიხელი, ჰელვეგი, რიპერი, ჰოგი, ლაურსენი, პ. ნილსენი (გოლდბეკი 55), ა. ნილსენი, თომსენი, შიოლერი (ანდერსენი 86), მ. ლაუდრუპი (შიონბერგი 75), ბ. ლაუდრუპი

**საბერძნეთი:** ატმაძიდისი, აპოსტოლაკისი, კასაპისი, უზუნიდისი, კალიცაკისი, ნტამიზასი, ცოგორაკისი (კონსტანტინიდისი 64), ნიკოლაიდისი, ლიმა (ალექსანდრისი 59), ცარტასი (ნინიადისი 75), დონისი

ეს შეხვედრა ჩვენთვის ყველაზე მეტად იმითაა საინტერესო, რომ მასში მონაწილეობდა საქართველოში აღზრდილ-დავაჟკაცებული ფეხბურთელი ანდრო კოურეჯოვე (ეროვნებით ბერძენი, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ანდრეას ნინიადისად ქცეული). შემცვლელად შესულმა ანდრომ, დონისმა და ნიკოლაიდისმა ბევრი ამტვრიეს დანიელთა კარი, მაგრამ გოლის გატანა და ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ მოახერხეს.

დანიელმა მცველმა თომას ჰელვეგმა 25-ე წუთზე მეტოქის კარის გასწვრივ ჩააწოდა, თეოდოროს ცოგორაკისმა ფეხი დაუხვედრა და მეკარე ატმაძიდისმა მხოლოდ ბურთის ბადიდან გამოტანა შეძლო. დანიელმა ბერძნებმა წუთის შემდეგ კიდევ ერთი გაუშვეს პეტერ ნილსენისგან, მაგრამ დანიელი თამაშგარეში იმყოფებოდა.

ავტოგოლიდან ათი წუთის შემდეგ თემისტოკლის ნიკოლაიდისი მეტოქის საჯარიმო მოედნის სიახლოვეს წააქციეს. ვასილის დონისმა ძლიერად დაჰკრა ჯარიმა, კედელში ჩამდგარი პეტერ ნილსენი და მიქაელ ლაუდრუპი აქეთ-იქით გაიწ-გამოიწივნენ და ბურთიც ამ ხვრელის გავლით კარში შევარდა. უფროსი ძმის შეცდომა ბრიანმა 50-ე წუთზე გამოასწორა: მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო, ბერძენთა კარისკენ წავიდა, გზად შემხვედრი ოთხი კაცი მოატყუა და გაიტანა.

დანიელთა შვედმა მწვრთნელმა ბო იოჰანსონმა ხოტბა შეასხა ბერძნებს და თავისი გუნდის მიერ უკვე დაგროვებული ექვსი ქულის გამოც კმაყოფილება გამოთქვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| დანია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ხორვატია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

მომდევნო მატჩები. 9 ნოემბერი: სლოვენია — ბოსნია, 10 ნოემბერი: ხორვატია — საბერძნეთი

II ჯგუფი

**იტალია — საქართველო 1:0**

**ინგლისი — პოლონეთი 2:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

მომდევნო მატჩები. 9 ნოემბერი: საქართველო — ინგლისი, 10 ნოემბერი: პოლონეთი — მოლდოვა

III ჯგუფი

**ნორვეგია — უნგრეთი 3:0**

**ნორვეგია:** გროდაასი, ჰაალანდი, იონსენი, ბერგი, ბიორნებიე, სტრანდლი (ოსტენსტადი 83), მიკლანდი, ლეონარდსენი, სოლსკიაერი (ფლო 64), რეკდალი, ბოჰინენი

**უნგრეთი:** შაფარი, მრაჩკო, ბანფი, ნადი, შებოკი, ჰალმაი (ტორმა 87), ბალოგი, ურბანი, კლაუსი, ნიილაში (ილეში 74), დომბი

**მატჩის შემდეგ უნგრელთა მწვრთნელი იანოშ ჩანკი ცოფებს ყრიდა და შოტლანდიელ მსაჯ ჰიუ დალასს ლანძღავდა: „მსაჯმა სისულელე ჩაიდინა და ამან ჩვენი ბედი გადაწყვიტა. ნორვეგიას არ ეკუთვნოდა საჯარიმო დარტყმა".**

განა როგორ შეუძლია ერთ საჯარიმოს ყველაფრის თავდაყირა დაყენება, მაგრამ თავად განსაჯეთ: იმ მოღრუბლულ დღეს ნორვეგ ის აშკარა უპირატესობა ჰქონდა, რომელიც მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისისთვის დათმო. ამ დროს სტუმართა თავდამსხმელებმა ბალოგმა და დომბიმ მოხდენილად შეუტიეს და სულ ეს იყო. ნორვეგიამ კვლავ დაიბრუნა მატჩის სადავეები და „ბლექბერნის" ლარს ბოჰინენი ერთი-ერთზე გავიდა მეკარე შაფართან. 16 მეტრიდან ბოჰინენმა ძელს გაარტყა, შემდეგ იონსენმა თავური აიცილა. დამთავრებამდე შვიდი წუთი რჩებოდა და უნგრელთათვის დაწყევლილი საჯარიმოც დაინიშნა. დასარტყმელად კიტილ რეკდალი მოემზადა...

საფრანგეთის „რენის" თავდამსხმელმა უნგრელთა ცოცხალი კედელი ლამის ნაღვეთებად აქცია და ანგარიში გახსნა. 89-ე წუ-

## ნადი, ნადი!..

საქართველოსთან მატჩს იტალიელთა მწვრთნელი არიგო საკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი თქმით, ამ ციკლში იტალიისთვის ეს პირველი სერიოზული გამოცდა იქნებოდა...

„პირველ ტაიმში ჩვენ მოვახერხეთ მათი შევიწროვება, მაგრამ მეორეში აშკარად ვცოდვილობდით" — ნირწამხდარი კაცის ღიმილით განაცხადა საკიმ მატჩის შემდეგ.

„მშვიდობით, საკი!" — ეს სათაური ამშვენებს რომაული გაზეთის „კორიერე დელო სპორტის" ხუთშაბათის ნომრის პირველ გვერდს. შემდეგ ეს კი წერია: „წუხელ პერუჯაში ჩაიწერა ბოლო გვერდი საკის ნაკრებში მწვრთნელობის ისტორიაში. როცა ორჯერ ისე ითამაშებ, როგორც მოლდოვასა და საქართველოსთან, სხვა გზა არ არის, ახალი გვერდი უნდა გადაშალო."

„რეალობა კი ის არის, რომ სამი ოქროს ქულა ავიღეთ. ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ამჟამად ექვსი ქულა გვაქვს. წელს ერთადერთხელ დავმარცხდით, ევრო-96-ზე ჩეხეთთან და მაშინ მოედანზე ათი კაცი იყო" — ეს საკის აზრია, რომელსაც მატჩის შემდეგ 16 ათასმა გულშემატკივარმა ხმამაღლა დაუსტვინა და დაცინა. საკი, თურმე, ელოდა ამას: „სტვენა გახლავთ ჩვენს წინააღმდეგ ვამართული ორგანიზებული კამპანიის შედეგი".

„ამგვარი უსახური და საცოდავი, უსუსური და უღიმღამო თამაშის შემდეგ საკის საუკეთესო კომენტარი დუმილი იქნება" — ასკვნის „ლა რეპუბლიკა".

ქვეყანა საკის გადადგომას ითხოვს. იტალიელთა თავკაცი კი აცხადებს: „მე არ ვაპირებ თანამდებობის დატოვებას. მწვრთნელობა ყოველთვის უმადური საქმე იყო. ხანდახან ყველაფერზე მიფურთხება მოგინდება კაცს, მაგრამ ჩემი მოთმინება უსაზღვროა. მე მჯერა ამ გუნდის და მოთამაშეების. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. მალე გუნდი უფრო შეკავშირდება და პრობლემები აღარ გვექნება."

ამასობაში აბობოქრებულ ხალხს მიმართა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მარიო პასკანტემ. მან გულშემატკივრებსა და პრესას სიმშვიდისკენ მოუწოდა და თქვა, 12 თებერვალს ინგლისში გადამწყვეტი მატჩი გველის და გუნდს მშვიდ გარემოში მომზადების საშუალება მოვცეთო.

პასკანტეს მხარი აუბა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ლუჩანო ნიცოლამ. მან ხალხს დამშვიდება სთხოვა და ისიც აუწყა, რომ ნოემბერში, სარაევოში, ბოსნია — იტალიის ამხანაგური მატჩისთვის გუნდს კვლავ არიგო საკი მოამზადებსო. თუმცა, ესაც დასძინა, კაცმა არ იცის, როგორ გადაწყვეტს ფედერაცია საკის ბედსო.

საკის კონტრაქტი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე აქვს გაფორმებული და წელიწადში მილიონ დოლარს იღებს. ახლა ამ კონტრაქტის საფუძველი შეირყა. მაგრამ ბოლო სიტყვა ან საკიმ, ან ფედერაციამ უნდა თქვას. მწვრთნელის აზრი ზემოთ მოგახსენეთ, ნიცოლას თქმით კი: „იტალიის ნაკრების მწვრთნელთაგან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს ერთი კაცი არ გადაწყვეტს. ამას ფედერაციის აღმასკომი გააკეთებს. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რადგან ჯერ არა ვარ ფედერაციის პრეზიდენტი."

– ნიცოლა დეკემბერში, ალბათ, ოფიციალურად გაპრეზიდენტდება. რა მოხდება შემდეგ? თუკი ჭორებს ვენდობით, საკის კარიერას სწორედ მაშინ დაემუქრება ნამდვილი საფრთხე.



თზე 20 მეტრიდან ძელრეც შეაგდო, ხოლო ნაფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე პენალტიც გაიტანა. ასე შეიქნა რეკორდული მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უსწრაფესი ჰეტ-ტრიკის (შვიდ წუთში!) ავტორად.



კეტილ რეკდალს ლეონარდსენი და ბოჰინენი ულოცავენ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:5 | 3 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

მომდევნო მატჩები. 10 ნოემბერი: შვეიცარია — ნორვეგია, აზერბაიჯანი — უნგრეთი

## IV ჯგუფი

### შვედეთი — ავსტრია 0:1

**შვედეთი: რაველი, ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, ბლომკვისტი, შვარცი, ზეტერბერგი, ინგესონი (მილდი 67), ტერნი, დალინი (ა. ანდერსონი 83), კ. ანდერსონი (ლარსონი 42)**

**ავსტრია: კონსელი, შოპი (მაცი 77), შოტელი, პფეფერი, ფაირზინგერი, ჰერაფი, ჰუტერი, ვეტლი, პოლსტერი, ჰერცოგი, შტიოგერი (რამუში 71)**

დასაწყისში ავსტრიელთა დაცვა ღელავდა, მაგრამ ანდრეას ჰერცოგმა თავისიანებს რწმენა შემატა — შვედთა საჯარიმოში შეჭრილმა მარცხენათი გაუტანა თომას რაველის, ვინც ნაკრებში 132-ე მატჩს ატარებდა. მერე შვედეთმა კვლავ შეუტია და პენალტიც დაიმსახურა, შოპმა ბლომკვისტი წააქცია. თერთმეტმეტრიანი ყვითელ ბუცებში გამოწყობილმა კენეტ ანდერსონმა დაარტყა, მაგრამ კონსელმა აუღო. მასპინძლებს შეტევები არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ, მაგრამ კონსელის კარს გასაღები ვერ მოარგეს.

### ბელარუსი — ლატვია 1:1

**ბელარუსი: შანტალოსოვი, გურენკო, ოსტროვსკი, შტანიუკი, ბეზმენი, ორლოვსკი, კულჩიი, ჩერნიავსკი (ვერგეიჩიკი 90), მალეევი, მაკოვსკი, კაჩურო (ვიაზევიჩი 60)**

**ლატვია: კარავაევსი, ტროიცკისი, ასტაფიევსი, ზემლინსკისი, შევლიაკოვსი (ზაროვსკისი 64), სტეპანოვსი, ივანოვსი, ბლეიდელისი, რინკუსი (ბულდერსი 67), ზეიბერლინში (ბაბიჩევსი 46), პახარსი**

ყოფილი საბჭოელების შეხვედრაში ანგარიში მიხაილს ზელმინსკისმა გახსნა, დამთავრებამდე 12 წუთით ადრე კი ვლადიმირ მაკოვსკიმ გაქვითა.

### ესტონეთი — შოტლანდია 0:3

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა არ არის ერთი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქვეყნის ჩემპიონატის მატჩი, რომელზეც შესაძლოა მასპინძელი არ გამოცხადდეს და ამის გამო წაგებაც ჩაეთვალოს. მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ტალინში ესტონეთი დათქმულ დროზე არ გამოცხადდა შოტლანდიასთან სათამაშოდ და 0:3 წაგება მიესაჯა. ეს ლოგებით, 7 ნოემბრამდე, სანამ ფიფა საქმეს გაარჩევს და საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს. ჯერჯერობით ფიფა ერთგულია თავისი ინსტრუქციისა, რომელშიც წერია: „თუ გუნდი თამაშზე არ გამოცხადდა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, რომელსაც აღიარებს საორგანიზაციო კომიტეტი, მას ეთვლება წაგება. სამი ქულა და მოგება ანგარიშით 3:0 მიენიჭება მოწინააღმდეგე გუნდს".

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა მოხდა ტალინში. სამშაბათს სალამოს შოტლანდიის მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა აცნობა ფიფას დელეგატს ჟან-მარი განტენბეინს, რომ „კადრიორგის" სტადიონზე განათება არასაკმარისია და თამაშის დაწყების დრო წინ გადასწიეთო. ფიფას დელეგატმა შოტლანდიელებს უარი უთხრა.

ოთხშაბათის დილას შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ განმეორებითი პროტესტი განაცხადა და ფიფამ მატჩის დაწყების დროის გადმოტანა საღამოს 7-დან დღის 3 საათისთვის ბრძანა. ბრაუნმა თქვა, ასეთი ცუდი განათება არცერთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე არ მინახავსო. მან შეამჩნია, რომ განათების ორი ძირითადი ანძის სიმძლავრე მკვეთრად განსხვავდებოდა ორი დროებითი ანძების სიმძლავრისგან. ესაო, განმარტა ბრაუნმა, მოედანს სხვადასხვაგვარად გაანათებს და თვალებს აგვიჭრელებსო.

ესტონელებმა დილასვე თქვეს, რომ მატჩის დაწყებამდე ვერც განათების მოწესრიგებას მოასწრებდნენ, ვერც გუნდს მოიყვანდნენ საწვრთნელი ბაზიდან, ვერც უშიშროების სამსახური მოასწრებდა სტადიონზე სათანადო თადარიგის დაჭერას. ამასთანავე, 5 ათას კაცს მატჩზე დასასწრები ბილეთები წინასწარ ჰქონდა ნაყიდი და ტელევიზიაც პირდაპირ რეპორტაჟს გეგმავდა. თუ ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ეინარ ლეტონენს ვენდობით, მან ყველაფერი ეს მოახსენა ფიფას გენმდივანს იოზეფ ბლატერს, რომელმაც ბოლოს მაინც დართო ნება ფიფას დელეგატს, მატჩი ადრე დაეწყო.

ასე იყო თუ ისე, 3 საათზე მსაჯმა ჩასტვინა და შოტლანდიელებმა რამდენიმე ასეული თანამემამულე ფანის თვალწინ ბურთი გააგორეს. სამი წამის (!) შემდეგ მსაჯმა მეორედ ჩასტვინა და შეხვედრა შეაჩერა. მერე ყველაფერი ფიფას ინსტრუქციის მიხედვით მოხდა. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას 7 ნოემბერს მიიღებენ. მანამდე კი ესტონეთ — შოტლანდიის მატჩის შედეგი ცხრილებში არ ფიქსირდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 3 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ლატვია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

მომდევნო მატჩები. 9 ნოემბერი: ავსტრია — ლატვია, 10 ნოემბერი: შოტლანდია — შვედეთი

## V ჯგუფი

### ისრაელი - რუსეთი 1:1

**ისრაელი: კოჰენი, ჰალფონი (ბენადო 80), ამსალემი, ჰაზანი, ბრუმერი, შელაჰი, ბანინი, რევივო, ბერკოვიცი (ზოჰარი 88), ჰარაზი (როზენტალი 76), ნიმნი**

**რუსეთი: ჩერჩესოვი, მინკო, ნიკიფოროვი, ბუშმანოვი (რადიმოვი 66), კარპინი, თეთრაძე, ონოპკო, კანჩელსკისი, ბესჩასტნიხი, კოლივანოვი, რადჩენკო (ტიხონოვი 46)**

ისრაელმა ერთი თვის წინ ბულგარეთის დამარცხებით სენსაცია მოახდინა და ახლაც შეეძლო ჯგუფის ფავორიტის დამარცხება მაგრამ გადი ბრუმერის შეცდომის გამო ფრეს დასჯერდა. არდა, ბრუმერი, ამავე დროს, ებრაელთაგან გატანილი გოლის ავტორიცაა.

რუსები პირველ ტაიმში უკეთ ირჯებოდნენ. მათ ჯანიც მეტი ჰქონდათ და სისწრაფეც. ისრაელი შესანიშნავად იცავდა თავს. ჰალფონმა, ბრუმერმა და შელაჰმა დაცვა საიმედოდ გაამაგრეს და რუსთა ბომბარდირს რადჩენკოსა და გარემარბ კანჩელსკისს ბლომად ოფილი ტყუილადაც აღვრევინეს.

თუკი რუსთა ოსი მეკარე ჩერჩესოვი შესვენებამდე თითქმის უსაქმოდ იყო, მეორე ტაიმში გამოცოცხლებულმა ებრაელებმა გვარიანად შეახურეს. გოლი კი 64-ე წუთზე გავიდა. ბრუმერმა კარის გასწვრივ დანიშნული საჯარიმო რვაკაციან ცოცხალ კედელში გაატარა და ჩერჩესოვი სრულიად უმწეო აღმოჩნდა. მერე დაშავდა ისრაელის დაცვის ბურჯი ჰალფონი და შეცვლა მოითხოვა. რამდენიმე წამის შემდეგ ბესჩასტნიხმა მარცხნიდან კარპინს მიაწოდა, ამან — კოლივანოვს, რომელიც წამით მიატოვა ბრუმერმა. კოლივანოვმა კი რუსეთი სირცხვილისგან იხსნა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

მომდევნო მატჩები. 10 ნოემბერი: კვიპროსი — ისრაელი, ლუქსემბურგი — რუსეთი

## VI ჯგუფი

### ჩეხეთი — ესპანეთი 0:0

**ჩეხეთი: სრნიჩეკი, ლატალი, სუხოპარეკი, ნედვედი (ფრიდეკი 86), კადლეცი, ჰორნიაკი, ნემეცი, პობორსკი (შმიცერი 58), კუკა, ბერგერი, ბეიბლი**

**ესპანეთი: სუბისარეტა, აბელარდო, სერხი, ალკორტა, ნადალი, იერო, რაული, ლუის ენრიკე, ამორი (ურსაისი 76), გერერო (გვარდიოლა 52), ალფონსო (რიოსი 73)**

შეხვედრა მძიმეწონოსნების შერკინება ჰგავდა. ორივე გუნდმა ფრთხილად და მოზომილად დაიწყო და ერთმანეთის შეცდომებს ჩაუსაფრდა. პირველი საგოლე მომენტი ჩეხებს ჰქონდათ. პაველ კუკას ჩაწოდებული უმეთვალყურეოდ დარჩენილ კარელ პობორსკის მიუვიდა, მაგრამ „იუნაიტედის" ნახევარმცველმა ბურთი ვერ შეიჩნარჩუნა. შემდეგ მასპინძელთა და „ნიუკასლის" მეკარე პაველ სრნიჩეკი შეცდა: ბურთის მოგერიება სურდა, მაგრამ ალფონსოს გაარტყა და შემდეგ თვალიც გააყოლა. მისდა საბედნიეროდ, ბურთი კარს ასცდა. ჩეხები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ეს გოლად ვერ აქციეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 17:2 | 9 |
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 5:19 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:18 | 0 |

მომდევნო მატჩები. 10 ნოემბერი: იუგოსლავია — ჩეხეთი, 13 ნოემბერი: ესპანეთი — სლოვაკეთი

## VII ჯგუფი

### სან მარინო — ბელგია 0:3

**სან მარინო: ფ. გასპერონი, გობი, ჯენარი, ბაჩიოკი, ლ. გასპერონი, გუერა, მუჩიოლი (ბიანკი 68), მაძა (პევერანი 74), მონტანა, ფრანჩინი, პაზოლინი (ვანუჩი 53)**

**ბელგია: დე ვილდე, კრასეონი, მედვედი, რენიე, ლეონარდი, სტალენსი, შეპენსი (ვან კერკჰოვენი 62), ვერჰეიენი (პიერი 65), დეგრიზი, ნილისი, ოლივეირა (დებილდე 80)**

სან მარინოელთა ასპარეზობას სიმბოლური მნიშვნელობაღა თუ აქვს. ვისაც არ ეზარება, ყველა უგებს. ამ ციკლშიც წინა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მაჩანჩალა უელსმაც ორჯერ გაანადგურა და ჯამში 11 გოლი გაუტანა, თავად კი გატანილი გოლის გემო ჯერ არ იცის. მაგრამ სან მარინო დიდი საფეხბურთო ოჯახის სრულუფლებიანი წევრია და სხვადასხვა ტურნირებშიც ზუსტად იგივე უფლებები აქვს, რაც ნებისმიერს უძლიერესთაგან.

მცირერიცხოვანი ქომაგები, ვინც სან მარინოს მხარს უჭერდნენ, წაგებით თუ არა, ანგარიშით მაინც კმაყოფილნი უნდა იყვნენ. მათი გუნდი მხოლოდ სამი ბურთი დამარცხდა. როდის მოხდა უკანასკნელად ასეთი რამ, ცოტა ძნელი გასახსენებელია.

ბელგიას კი, აბა, რა პრობლემა უნდა ჰქონოდა. მან დებიუტშივე მოითავა საქმე. გერტ ვერჰეიენმა მეათე წუთზე გაიტანა, ხოლო ლუკ ნილისმა კიდევ ათი წუთის შემდეგ. მანვე ერთიც შეაგდო და თავისი გუნდი ცხრილში მეორე ადგილზე აანაცვლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 12:3 | 6 |
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:14 | 0 |

მომდევნო მატჩები. 9 ნოემბერი: ჰოლანდია — უელსი, 10 ნოემბერი: თურქეთი — სან მარინო

## VIII ჯგუფი

### ისლანდია — რუმინეთი 0:4

**ისლანდია: ბ. კრისტინსონი, ლ. სიგურდსონი (პორდარსონი 61), პ. გუდიონსონი, იონსონი, ადოლფსონი, რ. კრისტინსონი, ბერგსონი, ჰ. გუდიონსონი, დადასონი (ჰ. სიგურდსონი 55), გუნლაუგსონი, სვერისონი**

**რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, პროდანი, დობოში, გელკე, პოპესკუ, შეიმეში, ილიე, მოლდოვანი (დუმიტრესკუ 76), ჰაჯი (ვლადოიუ 76), მუნტიანუ**

მსაჯს სასტარტო ჩასტვენა არ დაესრულებინა, რომ ჯიბისკენ ხელის წაღება და ყვითელი ბარათის ამოღება მოუხდა. მეშვიდე წამზე (!) ლარუს სიგურდსონმა წააქცია დორინელ მუნტიანუ და ალბათ ფეხბურთის ისტორიაშიც შევიდა უსწრაფესი გაფრთხილების მიღების გამო.

„სონ-სონ-სონ" ბიჭები განწირულნი რომ იყვნენ, ამის მიხვედრას დიდი ბრძენობა არ სჭირდებოდა. რუმინელები, რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ და მოედნის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. პირველი საფრთხე ჰაჯიმ შექმნა — მცველებს გაექცა და კრისტინსონს თავზე გადაუგდო, ამან კი მოახერხა და თითებით ხარიხას გადაატარა ბურთი. ხუთ წუთში კი მოლდოვანმა გოლით დაასრულა თანაგუნდელების მიერ წამოწყებული სწრაფი კონტრშეტევა.

ჰაჯიმ ხვაშიადი მაინც გაისწორა, ხოლო 15 წუთის შემდეგ მისმა სეხნია გეორგ პოპესკუმ ჩამოწოდებულს თაური შეავება და მესამე შეაგდო. ბოლოსწინა წუთზე „ჩელსის"-დან პეტრესკუ მარჯვენა ფრთიდან გაექცა კუნძულელ მცველებს და მძლავრი დარტყმით დაამთავრა ისლანდიელთა განადგურება.

### ირლანდია — მაკედონია 3:0

**ირლანდია: კელი, ირვინი, ბრინი, სტონტონი, კენა, მაკატირი, მაკლაფლინი (ობრაიენი 89), თაუნსენდი, ჰარტი (მური 86), ონილი (ოლდრიჯი 82), კასკარინო**

**მაკედონია: ცელესკი, სელდოსკი, ნიკოლოვსკი, იოვანოვსკი, მილოსავოვი, გოშევი, ციგირი, მილოსევსკი (ზაჰარიევსკი 61), ბეგანოვიჩი, მიჩევსკი, ჰრისტოვი**

მერვე წუთი მიმდინარეობდა, როცა ალან მაკლაფლინმა მეტოქის საჯარიმოში, დაახლოებით პენალტის ნიშნულთან ჯეისონ მაკატირი მოძებნა. ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა და ყუმბარასავით გასროლილი ბურთი მაკედონიელთა ბადის ჭერს მიაკრა. სტუმრები ექვს ნახევარმცველით თამაშობდნენ, მაგრამ ამ ტაქტიკურმა სქემამ ხეირი ვერ მოუტანა. რეალური საგოლე მომენტი კი ტაიმის ბოლოს შექმნე, როცა ჰრისტოვმა დაახლოებით 22 მეტრიდან კარის მარცხენა კუთხეში დაარტყა, მაგრამ ალან კელიმ ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ირლანდიელთა ვეტერანმა ტონი კასკარინომ ივარგა. გოლი კი არაფრისგან შეიქმნა. მცველმა იოვანოვსკიმ უხეირო თაურით მოიგერია ბურთი, რომელიც კარიდან 10 მეტრში მდგომ კასკარინოს მიუვიდა. ამან კი შანსი არ დაკარგა. მანვე მასპინძელთა მესამე, თავისთვის კი მეორე გოლიც გაიტანა: ჯეფ კენამ კარის გაწვრივ ჩაჰკიდა, ტონი კი თავით ყველაზე ადრე მისწვდა ბურთს.

### ლიტვა — ლიხტენშტაინი 2:1

**ლიტვა: სტაუჩე, ტერეშკინასი, სუკრისტოვასი, მიკნევიჩუსი, ვაინორასი, შლეკისი, ჟუტაუსკასი, მაზულევიჩუსი (ფვინგლარი 57, ბალტუშნიკასი 82), იანკაუსკასი, სკარბალიუსი, ნარბეკოვასი**

**ლიხტენშტაინი: ჰეები, ოსპელტი, ტელსერი, ჰილტლი, ჰანსელმანი, ბეკი, ფ. შადლერი (ა. შადლერი 75), ცეხი, ფრიკი, დ. ჰასლერი, შ. ჰასლერი (მარქსერი 73)**

ავსტრიის „ადმირა ვაკერის" თავდამსხმელი არმინას ნარბეკოვასი ტრავმის გამო წელიწადნახევარი არ თამაშობდა. იგი ისლანდიასთან შეხვედრაში დაბრუნდა, ახლა კი იძულებითი შესვენების შემდეგ მეორედ თამაშობდა ნაკრებში. ნარბეკოვასმა 55-ე წუთზე საჯარიმო გაიტანა და ლიტვას მოაგებინა. მანამდე კი ტაიმის მიწურულს იანკაუსკასმა ახლოდან გახსნა ანგარიში. ბოლო გოლამდე ორი წუთით ადრე კი ჰარი ცეხი უპატრონოდ დარჩა მეტოქის საჯარიმოში და ჩაწოდილ სტაუჩეს ბურთი თავზე გადაავლო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

მომდევნო მატჩები. 9 ნოემბერი: ლიხტენშტაინი — მაკედონია, 10 ნოემბერი: ირლანდია — ისლანდია

## IX ჯგუფი

### ალბანეთი — პორტუგალია 0:3

**ალბანეთი: სტრაკოშა, დემა (კუშტა 46), აბაზი (მალკო 83), ჯუმბა, ვატა, ლეკბელო, ბოზგო, კოლა, კაჩაი, რაკლი, მილო (პაკო 78)**

**პორტუგალია: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, პაულინიუ სანტუში, ოსვანუ (პერეირა 85), კოუტუ, ელდერი, ფიგუ (ნუნუ 88), ჟოაო პინტუ, სა პინტუ, რუი კოშტა, ფოლია (ბენტუ 63)**

როგორც იქნა, პორტუგალიამ ამ ციკლში გაიმარჯვა. თუმცა, ერთხანს ესეც საეჭვო იყო. ლუიშ ფიგუმ 25 მეტრიდან გაუტანა სტრაკოშას. მერე კი „ქემალ სტაფას" განახლებულ სტადიონზე მასპინძელთა უპირატესობამ დაისადგურა. ვიქტორ ბაიას რამდენჯერმე მოუხდა საქმეში ჩაბმა. ბოლო 15 წუთში კი პორტუგალიელებმა ორჯერ იმარჯვეს — ელდერმა კონტრშეტევა დაასრულა, მერე კი რუი კოშტამაც ივარგა.

### სომხეთი — გერმანია 1:5

**სომხეთი: ბერეზოვსკი, სუკიასიანი, ხაჩატრიანი, ოვსეპიანი, ოგანესიანი (ტერ-პეტროსიანი 46), ვარდანიანი (მინასიანი 74), ტერ-ზაქარიანი, ტონოიანი (ავეტისიანი 46), მხითარიანი, ასადურიანი, მიქაელიანი**

**გერმანია: კეპკე, როიტერი, ბოდე (კუნცი 73), კოლერი, პასლაკი, ბაბელი, ჰილტსი, შოლი, კლინსმანი, ჰესლერი (ტონდტი 76), ბირჰოფი (ბობიჩი 63)**

**გოლები: 0:1 კლინსმანი (26), 0:2, 0:3 ჰესლერი (29, 39), 0:4 ბობიჩი (69), 0:5 კუნცი (82), 1:5 მიქაელიანი (85)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| სომხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

მომდევნო მატჩები. 9 ნოემბერი: გერმანია — ჩრდ. ირლანდია, პორტუგალია — უკრაინა, ალბანეთი — სომხეთი

## სამხრეთ ამერიკა

### ვენესუელა — არგენტინა 2:5

**გოლები: სავარესე (7), დუდამელი (87); ორტეგა (35), სორინი (69), სიმეონე (77), ალბორნოსი (91)**

### პარაგვაი — ჩილე 2:1

**პარაგვაი: ჩილავერტი, აიალა, რივაროლა, გამარა, არსე, ბენიტესი (ესტიგარიბია 66), სტრუვეი, კაბალერო, ჯენისი (ესტიგარიბია 66), სტრუვეი, კაბალერო (როხასი 46), ბენიტესი, კარდოზო (ალკარესი 68)**

**ჩილე: რამირესი, რეიესი, ფუენტესი, მარგასი (ესტაი 80), კასტანედა, მირანდა, მუსრი, კორნეხო, კონტრერასი (როსენტალი 55), სამორანო, ვერგარა (გოლდბერგი 75)**

### ეკვადორი — კოლუმბია 0:1

**ეკვადორი: მორალესი, რივერა, მონტანო, ტენორიო, კაპურო, კარაზალი, ი. ურტადო (ობრეგონი 62), დელგადო, აგინაგა, დე სოუზა (ფერნანდესი 70), ე. ურტადო**

**კოლუმბია: მონდრაგონი, გალეანო, ბერმუდესი, ლოპესი, კაბრერა, ალვარესი, სერნა, ვალდერამა, რინკონი (დე ავილა 61), არისტისაბალი (ლოსანო 61), ასპრილია**

**გოლი: ასპრილია (72)**

„ატაუალპას" სტადიონი, სადაც მატჩი გაიმართა, ზღვის დონიდან 2800 მეტრზეა. იქ ჰაერი გაიშვიათებულია, სუნთქვაც ჭირს და ბურთიც თავისებურად დაფრინავს. ეკვადორელებმა ეს უპირატესობა არ იკმარეს და კოლუმბიელებს გაგანია შუადღისას დაუნიშნეს თამაში. სხვათა შორის, აქამდე ეკვადორს შინ ჩატარებული სამი მატჩიდან სამი მოგება ჰქონდა, მათ შორის არგენტინასთანაც. კოლუმბიელებს კი მთავარ მწვრთნელად მათივე ყოფილი დამრიგებელი ფრანსისკო მატურანა დაახვედრეს.

კოლუმბია თავიდან ვერ ათამაშდა. მართალია, ბურთს მეტხანს ფლობდა, მაგრამ ეკვადორელთა შეტევები უფრო სახიფათო იყო. მეკარე ფარიდ მონდრაგონს რამდენჯერმე მოუხდა რთული დარტყმების მოგერიება. მას ძირითადად ედუარდო ურტადო და გაეკვადორელებული ბრაზილიელი ჟილსონ დე სოუზა აწუხებდნენ.

სტუმრები ნელ-ნელა მოეგნენ გონს, ჰაერსაც შეეჩვივნენ და ლაღადაც ათამაშდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა, მატურანას ყოფილმა თანაშემწემ, შეცვლაზე ერთდროულად დე ავილა და ლოსანო შემოიყვანა. ახალმა ძალებმა გოლიც დააჩქარეს. დე ავილამ პასი მისცა ასპრილიას, რომელმაც 45 ათას მაყურებელს ერთ წამში ხმა გააკმენდინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| ეკვადორი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| არგენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 |
| პარაგვაი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ურუგვაი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ბოლივია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:5 | 4 |
| ჩილე | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| პერუ | 4 | 0 | 3 | 1 | 2:5 | 3 |
| ვენესუელა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:15 | 1 |

## კონკაკაფი

## II ჯგუფი:

### კანადა — კუბა 2:0

**1:0 ბანბარი (29), 2:0 პეშისოლიდო (54)**

## ამხანაგური მატჩი

### საფრანგეთი — თურქეთი 4:0

**საფრანგეთი: ბარტეზი, კარემბუ, გომა, ბლანი, ტურამი (ჟეტუ 76), ლამუში (კანდელა 23), დეშამპი, ზიდანი, პედროსი (გავა 66), ჯორკაეფი, ლოკო (პირესი 71)**

**თურქეთი: რუსთუ, რეჯეფი, ბიულენტი, ალფაი, არიფი (საფეთი 46), თოლუნაი (ერქანი 71), ოგიუნი, ჯელილი (სერდარი 60), აბდულა, უნალი (ოგიუზი 36), ჰაქანი (მეჰმეთი 63)**

**გოლები: ბლანი (33), პედროსი (35), ჯორკაეფი (50), პირესი (83)**

ფრანგებმა შესანიშნავად ითამაშეს და წაუგებელი სერია 30-მდე მიიყვანეს. მაგრამ ერთი კაცი მაინც გამოირჩეოდა ამ კარგ გუნდში. ეს ფრანგთა და „ბარსელონას" მცველი ლორან ბლანი იყო. იგი ყველაფერს ასწრებდა. ჯერ დაცვაში კლდესავით ჩადგა და უსუსურ თურქებს რამდენიმე შეტევის განვითარების მცდელობა ჩაუშალა. მერე ორი მწვავე პასი გააკეთა, ხოლო 33-ე წუთზე კი თავად გახსნა ანგარიში. ბლანი შუიდან გამოიქცა და თავისი კაპიტნისგან დიდიე დეშამპისგან მაღალი პასი მიიღო. თურქებმა ხელოვნური თამაშგარე დააპირეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ბლანი რუშთუს პირისპირ გავიდა და მეკარეს პირში ჩალა გამოავლო. ეს მისი მე-11 გოლი იყო ნაკრებში გამართულ 56 მატჩში.

ორიოდ წუთში ჯორკაეფმა პედროსს მიაწოდა, ამან ცაციათი დაბალი ბურთი გაიტანა. ჯორკაეფმა მესამე თავად შეაგდო, ოღონდ ზიდანის დახმარებით. საფრანგეთის ნაკრების იტალიურ კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელებმა (ზიდანი „იუვეში", ჯორკაეფი „ინტერში") მთელი მატჩი შეხმატკბილებულად ჩაატარეს, პასებს ერთმანეთს უგორებდნენ და თურქებს მუსრს ავლებდნენ. ასე მოხდა 50-ე წუთზეც — ზინედინმა ფეხზე დაასვა ბურთი იურის და ამასაც გატანის მეტი აღარა რჩებოდა. ჩვენი მეზობლის განადგურება კი პირესმა დაასრულა.

**ონისე ჭინჭიკაშვილი**

# მოდი, ვნახოთ „ბოავიშტა“

რაღა დარჩა „დინამო“ — „ბოავიშტა-მდე“, პორტუგალიელები ხვალ ჩამოდიან. „დინამო“ მეტოქეს სრული საბრძოლო შემადგენლობით ხვდება, ეგაა, კლუბის პრეზიდენტი ვერ დაესწრება თამაშს, რადგან გუშინ შვეიცარიას გაფრინდა უეფას პროფესიული კომიტეტის სხდომაზე. 10 ოქტომბერს „დინამომ“ დაისვენა, რაკილა იმ დღეს ნაკრების წევრები გვიან დაბრუნდნენ იტალიიდან. დინამოელები გუშინ, 11 საათზე შეიკრიბნენ დიღმის ბაზაზე და კონკრეტული მიზნისთვის — „ბოავიშტასთან“ თამაშისთვის მზადება დაიწყეს. ამ სამზადისის გეგმაში „ბოავიშტას“ დანიის „ოდენსესთან“ შეხვედრის ვიდეოფირის ნახვაც იქნება. თბილისელები, ფაქტიურად, პირველად იხილავენ მეტოქეს საქმეში...

„ბოავიშტასთან“ თამაშამდე ექვის დღით ადრე იტალიასთან წაგებამ ნაკრების წევრ დინამოელებზე ცუდად ხომ არ იმოქმედა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით-მეთქი. დინამოელთა მთავარ მწვრთნელს ამაზე რომ დავეკითხე, ასეთი პასუხი მივიღე:

— არა მგონია, ამ წაგებამ ბიჭებზე ცუდად იმოქმედოს. მათ კარგად ითამაშეს ძლიერ მეტოქესთან, თბილსში დაბრუნებულები ხალხმაც კარგად მიიღო, ამიტომ, ვფიქრობ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პრობლემა არ გვექნება.

**— „ოდენსე“ — „ბოავიშტას“ დანიაში ნათამაშები მატჩის ვიდეოფირი ჩაგიგდიათ ხელთ. იმედია, უკვე ნახავდით...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ მეტოქის ავკარგზე ახლა ვერ გეტყვით. კიდევ რამდენჯერმე უნდა ვნახო და „ბოავიშტას“ შეფასება მერე შემეძლება...

ითამაშებს თუ არა ჯამარაული? ერთი კვირაა, ეს კითხვა აღელვებს გულშემატკივარს. თავად გოჩამ ეს გვითხრა:

— ფეხი წესრიგში მაქვს და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, ასე რომ, „ბოავიშტასთან“ აუცილებლად ვითამაშებ. ისე, რომც მტკიოდეს მარცხენა, მარჯვენაც ხომ მაქვს, „ტორპედოსთან“ ამით არ შევაგდე? ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა.

**— „ტორპედოსთან“ თბილისში მატჩის წინ უსიამოვნო აზრები გაწუხებდა, სტუმრებმა გოლი არ გაგვიტანონო, გვითხარი ამასწინათ. ახლაც ხომ არ აგკვიატებია ავი აზრები?**

— არა, ეს რუსულ გუნდზე დამემართა, ახლა ამ მხრივაც სრულ წესრიგში ვარ და 15 ოქტომბერს ყველაფერს გავილებ მოსაგებად...

15 ოქტომბერს კი მატჩი 18 საათზე დაიწყება...

**მამუკა ქვარაცხელია**

## ალადაშვილი და პროტასოვი დაძმობილდნენ

ადრე გაუწყეთ, რუსთავის „გორდას“ ამჟამინდელ მწვრთნელის, იასონ ალადაშვილის ვაჟი, „გორდას“ კაპიტანი კახა ალადაშვილი საბერძნეთს რომ გაემგზავრა ბედის საძიებლად. ახლახან კი შევიტყვეთ, რომ კახა ქალაქ ვერიას ამავე სახელწოდების გუნდში გაუსინჯავთ. „ვერია“ საბერძნეთის უმაღლეს დივიზიონში გამოდის და იმითაა ცნობილი, რომ თავდასხმაში ოლეგ პროტასოვი ჰყავს, ეროვნულ ნაკრებში კი 3 ფეხბურთელი. საკონტროლო მატჩი კვიპროსის ერთერთ გუნდთან „ვერიას“ 2:0 მოუგია და ორივე გოლი კახა ალადაშვილს შეუგდია. ახლა ალადაშვილი დროებით პროტასოვთან ცხოვრობს და დღე-დღეზე კონტრაქტსაც გააფორმებს.

## თბილისობაზე თურქმენებს ვუმასპინძლებთ

წლევანდელ თბილისობაზე თბილისის ნაკრები ელგუჯა გუგუშვილის გამწვრთნელ თურქმენებს შეხვდება. თურქმენთა ნაკრებს თბილისის „დინამოსთან“ თამაშიც სდომებია, მაგრამ თბილისობა 25 ოქტომბერს იმართება, „დინამოს“ კი „ბოავიშტასთან“ საპასუხო შეხვედრა 29-ში აქვს ჩასატარებელი და ძირითადი შემადგენლობის დინამოელთა მონაწილეობა ამ მატჩშიც, ცხადია, გამოირიცხება.

## ოდიშელებს სიომინი ელის

ზუგდიდის „ოდიშსა“ და საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა კლიმენტი წიტაიშვილმა გვაცნობა, რომ სამი ოდიშელი — თავად იგი, ვალტერ გურჩუა და ვლადიმერ გაბედავა ოქტომბრის ბოლოს მოსკოვში მიემგზავრებიან „ლოკომოტივში“ გასასინჯად. ეს სამეული აქამდეც უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვს, მაგრამ „მერანთან“ გურჩუას დაშავებამ შეაფერხა. თავად წიტაიშვილი კი დღეს 18 წლამდე ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მიჰყვება ბულგარეთში. ამ მიზეზთა გამოა, რომ მოსკოველ რკინიგზელთა მწვრთნელი სიომინი ოლიშურ სამეულს ოქტომბრამდე ვერ იხილავს.

## საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალი

**ოდიში 2 — გურია 2:5 (1:7)**

0:1 ო. კორღალიძე (22), 0:2 ყოლბაია (25), 0:3 ო. კორღალიძე (44), 0:4 ბერიძე (63), 0:5 ო. კორღალიძე (76), 1:5 გოგოხია (88), 2:5 ვაზგანავა (89)
მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**ბათუმი 2 — ოდიში 0:1 (1:5)**

0:1 ფანცულაია (22)
მსაჯი: ხ. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**სულორი — სამტრედია 0:1 (0:1)**

0:1 იეჩიანი (85)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**იმერეთი — სამგურალი 1:4 (0:1)**

0:1 ბუნტური (15), 0:2 ხურცილავა (30), 0:3 ქყონია (43), 0:4 ესაიაშვილი (55 პ), 1:4 თევდორაძე (61)
გაფრთხილება: ქვაჩახია (სამგურალი)
მსაჯი: ა. სამწარაძე (სოხუმი)

**შირაქი — მერანი 1:1 (0:4)**

0:1 პერტია (73) 1:1 ფოფხაძე (75)
89 წუთზე შირაქელმა ტოკლიკიშვილმა პენალტი ვერ გამოიყენა.
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**არმაზი — სიონი 2:1 (0:2)**

1:0, 2:0 გვაზავა (26, 41), 2:1 ქოიავა (47)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**მორკინალი — გორდა 3:3 (1:2)**

0:1 მელაძე (27), 0:2, 0:3 პატარიძე (30, 40), 1:3 დვალიშვილი (45), 2:3 ვაშაკიძე (64), 3:3 კაპანაძე (80)
გაფრთხილება: მელაძე (გორდა)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**ასკ — კახეთი 4:1 (2:2)**

1:0 მონასელიძე (23), 2:0 დორობჯგინიძე (44), 3:0 გოგოლაძე (77), 3:1 ბაბულაიძე (85 პ), 4:1 ტარიელაშვილი (89)
გაფრთხილება: ათუაშვილი
გაძევება: ათუაშვილი
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

**ლოკომოტივი — ივერია 1:2 (0:0)**

0:1 კალმახელიძე (64), 1:1 ქვარცხავა (70), 1:2 წივწივაძე (84)
გაფრთხილება: ხარაზიშვილი, გ. ლურსმანაშვილი (ივერია), ი. ბუხრიკიძე (ლოკომოტივი)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

**ცხინვალი — შევარდენი 2:4 (1:5)**

0:1 თ. კობიაშვილი (20), 0:2 როსტიაშვილი (43), 1:2 ცხადაძე (49), 1:3 თ. კობიაშვილი (56), 1:4 გიორგი ქორიძე (75), 2:4 ნადიბაიძე (85)
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

მერვედფინალში გასულ ოდიშს, სამტრედიას, სამგურალს, მერანს, სიონს, გორდას, ივერიას, ასკს, შევარდენს, გურიას, ასევე მაღაროელ — ტორპედოსა და დინამო 2 — დილას შორის გამარჯვებულებს დინამო, ბათუმი, მარგვეთი და კოლხეთი დაემატებიან.

# ჩხაიძე «დინამოში» ევროპით იწყებს

ახალი „დინამოს“ მიერ უეფას თასის სამი ეტაპის გავლაში გია ჩხაიძის წვლილიც დევს. არ მინდა, მისი დამსახურება გავბუქო, მაგრამ მართლაც განსაცვიფრებელია, თვიდან თვემდე უთამაშებელ ფეხბურთელის ასე კარგად გამოსვლა ევროთასებზე. ჩხაიძის უთამაშებლობის მიზეზი კი ის არის რომ „სამტრედიიდან“ იმ პირობით გადმოიყვანეს, ევროთასებზე შეეშველებოდა „დინამოს“, ამიტომ ჩემპიონატის მატჩებისას ტრიბუნაზე უწევდა ჯდომა. ჩვენი ჩემპიონატის სისუსტეზე იმდენი დაწერილა, მავანი იტყვის, იმ მატჩებს რა უნდა შეემატებინა ჩხაიძისთვისო, მაგრამ არც ასეა საქმე. ჯერ სათამაშო პრაქტიკა ვთქვათ, მერე — შეთამაშება ახალ პარტნიორებთან. ასე იყო თუ ისე, ჩხაიძე მოსკოვის „ტორპედოსთან“ უმძიმეს მატჩებში საუკეთესო იყო და რაც შეეძლო, ყველაფერი გაიღო გამარჯვებისთვის. მოკლედ, ეს წესიერი და მორიდებული ბიჭი მინდორზე ერთობ გულიანად და თავდაუზოგავად ირჯებოდა...



**— გია, პირველად ვინ გადაგიყვანა მარცხენა ფლანგზე?**

— მეათე კლასიდან თავდასხმაში ვთამაშობდი, ფიზკულტურის ინსტიტუტში რომ ჩავაბარე, რევაზ ძოძუაშვილმა მარცხენა მცველად დამაყენა და მას მერე ამ ამპლუაში გამოვდივარ. ძოძუაშვილმა ქუთაისის „ტორპედოშიც“ წამიყვანა და იმ წელს მეორიდან პირველ ლიგაშიც გადმოვედით.

**— შენი „დინამოში“ მიწვევა ვისი იდეა იყო?**

— „დინამოში“ ყიფიანმა გადმომიყვანა. სეზონის წინ დამიბარა და მკითხა, „დინამოში“ თამაში თუ გინდაო. რას ვეტყოდი, გასაგებია. თავიდან ევროთასებისთვის ამიყვანეს, მერე და მერე, ეტყობა, ჩემმა თამაშმა დააკმაყოფილა ჩემპიონატისთვის და ჩემს განაცხადში შეყვანასაც მიაღწიეს.

**— არადა, მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრამდე თვენახევარზე მეტის უთამაშებელი იყავი. არ გიჭირდა ამხელა ინტერვალის მერე უეფას თასზე თამაში, თანაც მეტად პრინციპულ მატჩში?**

— ფიზიკურად მზად ვიყავი. ხისწრაფეც, რაც მაქვს, ხომ ვერ წამართმევენ? ამ კომპონენტებში არ გამჭირვებია, რაც შეეხება პარტნიორებთან საერთო ენას, ამაში პატარა-პატარა ხარვეზები, რა თქმა უნდა, მქონდა, მაგრამ მოსკოვში ფიქრის დრო სად იყო, ყველაფერი უნდა გაგველო გამარჯვებისთვის და ყველა ასეც ვიქცეოდით.

**— „დინამოსთან“ შენი კონტრაქტი რამდენწლიანია?**

— 1997 წლის მაისის ბოლომდე „დინამოში“ ვარ, თუ მოისურვებენ ჩემთან კონტრაქტის გაგრძელებას, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. როდესაც „დინამოში“ მოვდიოდი, სულ ის აზრი მიტრიალებდა თავში, რომ მივდიოდი საქართველოს უძლიერეს გუნდში, რომელსაც სერიოზული მიზნები აქვს. ევროთასებზე ჩვენმა წარმატებულმა გამოსვლამ რეალურად დამანახა, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგისთვის ვიბრძოლებთ. საერთოდ კი, ასე ვთვლი, თუ ფეხბურთელი ხარ, მაღალი მიზნებისთვის უნდა იბრძოლო, „დინამო“ კი სწორედ ის გუნდია, სადაც ეს შესაძლებელია. მე უზომოდ მადლიერი ვარ ყიფიანის, ეს შანსი რომ მომცა.

**— ლომის წილი „დინამოს“ წარმატებაში სწორედ დავით ყიფიანისაა. ბევრი არ გარისკავდა თვენახევრის უთამაშებელი და ახალტრავმამომუშებული ფეხბურთელის დაყენებას მოსკოვში. მან კი გარისკა.**

— ყიფიანის დამსახურება, ვფიქრობ, იმაზე მეტია, ვიდრე გარედან ჩანს. ყიფიანმა შეკრა გუნდი, ტალინში შეკრებაზე ისე ვივარჯიშეთ და საკონტროლო თამაშებიც ისე ჩავატარეთ, რომ თავად მიკვირდა, იმდენი ახალი დავინახე. გარდა ამისა, ყიფიანმა ფსიქოლოგიურადაც ჩინებულად მოგვამზადა და სწორედ ამიტომ არ გაგვჭირვებია „ტორპედოსთან“ მოსკოვში თამაში.

**— თბილისში კი სწორედ ფსიფოლოგიურად გაგიჭირდათ...**

— არ ვიცი, ყველანი რატომღაც შებორკილები ვიყავით, სწორედ ამით აიხსნება უამრავი გამოუყენებელი საგოლე მომენტი.

**— „ბოავიშტას“ ნაცვლად მოსკოვის „სპარტაკი“ რომ შეგხვედროდით, ალბათ, უფრო გაგიჭირდებოდათ...**

— რა თქმა უნდა, რუსები თავს მოიკლავდნენ და მეორედ აღარ მოგვაგებინებდნენ. თამაშის გარდა სხვა უამრავ წინააღმდეგობასაც წავაწყდებოდით; ჩემი აზრით ყველაზე უკეთესი ვარიანტი ჩვენთვის სწორედ „ბოავიშტა“ იყო. თანაც, ჩვენნაირ ფეხბურთს თამაშობენ. ისე, რაკილა ნაკრებში ფეხბურთელი არ ჰყავთ, დიდად ძლიერი გუნდი არ უნდა იყოს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ უნდა მოვიგოთ.

**— ესე იგი, 15 ოქტომბრის მატჩის წინ ფსიქოლოგიური ტვირთი აღარ გემძიმებათ...**

— ვფიქრობ, ასე იქნება. მადა ჭამაში მოდისო, ისე დაგვემართა. სამი ეტაპის გავლის მერე ყველას გვინდა, ეს მეოთხეც დავძლიოთ. ვირწმუნეთ, რომ ხეირიანი თამაშიც შეგვძლებია და ძლიერი გუნდების დამარცხებაც. „დინამო“ ახლა უფრო შეკრული გუნდია, ვიდრე „ტორპედოსთან“ მატჩის წინ იყო. ერთი სული მაქვს, როდის გვანახებს ყიფიანი „ბოავიშტას“ თამაშის ვიდეოფირს, რათა მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებს დავაკვირდეთ.

**— შენი აზრით, შინ როგორ უნდა ვეთამაშოთ „ბოავიშტას“, გული საგულეს რომ გვქონდეს?**

— ჩვენ ამ მატჩში ყველაფერს გავიღებთ, შევეცდებით, თბილისშივე გადავწყვიტოთ ორივე შეხვედრის ბედი. საერთოდ, სჯობს აქ მეტოქეს გოლი არ გავატანინოთ, ამას ისევ ნულოვანი ფრე სჯობს.

ვფიქრობ, ამ ეტაპსაც დავძლევთ, მერე კი, ვნახოთ...

**— კობიაშვილის სახით ფლანგზე ჩინებული პარტნიორი გყავს...**

— ლევანის თამაში მართლა განსაცვიფრებელია, მასთან „თანამშრომლობა“ ძალიან მეადვილება, რაკილა ჩემს კოზირს, სისწრაფეს უფრო კარგად ვიყენებ. კობიაშვილს ყველაფერი აქვს და ფლანგზე ერთმანეთს ვავსებთ. მოკლედ, „ბოავიშტას“ თბილისშივე უნდა მოვუთავოთ ხელი...

**მამუკა ქვარაცხელია**

# «ცუდი» მოგება გვიჯობდეს...

**საქართველო 4:1 რუსეთი**

**საქართველო:** ბათიაშვილი (ლომაია 79), მენთეშაშვილი (ცოტაძე 46), გვაზავა, წერეთელი, აიანადი (მუმლაძე 55), კვარაცხელია, ჩომახიძე, წიტაიშვილი, პეტრიაშვილი (შენგელია 52), ალექსიძე, ფარქოსაძე (ებრალიძე 46)
**რუსეთი:** პახომევი, შტრომბერგერი (დენისენკო 23, ბისტროვი 71), კლიშჩენკო, კოკარევი, პარმუზინი, სიდოროვი, სმირნოვი (ბალაკინი 71), ჩებურაევი, არისტარხოვი, გუკი, ხრუსტოვსკი
0:1 არისტარხოვი (2), 1:1, 2:1 წიტაიშვილი (16, 21), 3:1, 4:1 ალექსიძე (63 პ, 76)
**გაფრთხილება:** შტრომბერგერი, სიდოროვი, გვაზავა, წიტაიშვილი
**მსაჯი:** მერაბ მალაღურაძე

შეხვედრის დაწყებამდე რუსთა მწვრთნელმა, 70-იანი წლების მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელმა იური სმირნოვმა ბრძანა, ქართველებისგან ყოველთვის ბევრს ვსწავლობდით და სპარინგადაც ამიტომ აგირჩიეთო. ვერაფერს იტყვი, მართალი თქვა კაცმა — მისი ნაკრები მცხეთაშიც ბევრს ისწავლიდა ქართველებისგან, თანაც, კოპალეიშვილის ბიჭები მეტოქეებზე რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ერთი წლით უფროსები იყვნენ და მართლაც მეტი იცოდნენ.

— რა კარგად ჩვენ ვითამაშეთ?! — უკმაყოფილოდ გვეტყვის მატჩის შემდეგ ვახტანგ კოპალეიშვილი და მისიც მესმის. გამარჯვება გამარჯვებად, მაგრამ ჩვენებრთა ნაკლიც ცხადად გამოჩნდა. მოკლედ, ქართველებმა და რუსებმა ერთმანეთს ბევრი რამ ასწავლეს.

მასპინძლებმა 4-4-2 სქემით დაიწყეს. უკანა მცველი — გვაზავა, მის წინ — წერეთელი, მარჯვნივ — მენთეშაშვილი, მარცხნივ — აიანადი; საყრდენი გივი კვარაცხელია გახლდათ, გამთამაშებელი — ბილეფელდის „არმინიას“ ფარქოსაძე, მარჯვენა ნახევარმცველი — ჩომახიძე, მარცხენა — პეტრიაშვილი, თავდასხმაში — წიტაიშვილი და ალექსიძე.

აბდუშაპილის არ იყოს, ქართველებს ჯერ სალამი არ დაემთავრებინათ, რუსებმა რომ გოლი გაიტანეს. სტუმართა სწრაფი კონტრშეტევისას ხრუსტოვსკიმ საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილი არისტარხოვი შენიშნა და ამასაც გოლის გატანის მეტი აღარა დარჩენოდა. ასე სამწუხაროდ, დაიწყო მატჩი ქართველებისთვის და ასევე გაგრძელდა მე-16 წუთამდე. ამ მონაკვეთში ჩვენების თამაში სასურველისგან საკმაოდ შორს იდგა. ხისტად და მჭიდროდ მოთამაშე მეტოქეებთან აშკარად გაუჭირდათ. მე-16 წუთიდან კი გარატეხა დაიწყო. მარჯვენა ფლანგზე კუთხურის ალმის სიახლოვეს ბურთი ჩომახიძემ მიიღო და უმალ რუსთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი სად იყო, სად არა, წიტაიშვილი აღიმართა და თავით გაქვითა. ამის მერე მასპინძლებს უპირატესობა აღარ დაუთმიათ და მალევე ისევ წიტაიშვილმა პირველის ტყუპისცალი გაიტანა, ამჯერად მისი თანაშემწე გუნდის კაპიტანი ალექსიძე გახლდათ. ჩვენი მოთამაშეები შედარებით უკეთ კი იყენებდნენ ფლანგებს, მაგრამ ცენტრში სიმწვავე აკლდათ, ორი გოლის გარდა ამდენივე შესაძლებლობაც ვერ გამოიყენეს — ჯერ წიტაიშვილმა, მერე პეტრიაშვილმა. მე-16-დან 38-ე წუთამდე რუსებს ჩვენი კარისკენ არც დაურტყამთ, 38-ზე კი ისეთი მომენტი შეუქმნეს ხრუსტოვსკის, რომ გატანას არაფერი უნდოდა, ამან კი მაინც ვერ იზეირა.

მეორე ტაიმში კოპალეიშვილმა ყველა სათადარიგო გამოიყვანა და, ბუნებრივია, ტაქტიკაც შეცვალა. გვაზავა ნახევარდაცვაში წასწია, უკანა მცველად კი ებრალიძე გაამწესა. მარჯვენა ფლანგზე მუმლაძე და მის წინ შენგელია ირჯებოდნენ, მარჯვნივ ჩომახიძემ გადაინაცვლა, კვარაცხელია გამთამაშებლად მოგვევლინა, თავდასხმაში კვლავ შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ ალექსიძე და წიტაიშვილი. მესამე გოლიც წიტაიშვილის აქტივშია, იმ თვალსაზრისით, რომ საჯარიმოში შეჭრილი დენისენკომ ხელით შეაჩერა. პენალტი ალექსიძემ გაიტანა, 76-ე წუთზე კი მეორედაც გამოიჩინა თავი. მეტოქის საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან ბურთიანად დაძრულმა მცველთა შორის ხვრელი მოძებნა და იმ დროს, მისგან რომ გადაცემას ელოდნენ, კარში დაარტყა. უცნაური ტრაექტორიით წასულ ბურთს სტუმართა დაბნეულმა მეკარემ ალღო ვერ აუღო და გაუშვა. საგოლე მომენტები ამის მერეც საკმაო იყო ორივე კართან, მაგრამ მეტი აღარ გასულა.

რა დასამალია და, ამგვარ თამაშებს ჩვენშიც და სხვაგანაც, ხშირად ახლავს მსაჯთა მიკერძოება, ცხადია, მასპინძელთა სასარგებლოდ. მერაბ მალაღურაძეს და მის დამხმარეებს ასეთი დათვური სამსახური თავისიანებისთვის ერთხელაც არ გაუწევიათ.

შეხვედრის შემდეგ **იური სმირნოვმა** მასპინძლებს კარგი თამაში და აზრიანი მოქმედება შეუქო: „განსაკუთრებით თქვენი თავდამსხმელები მომეწონა, მათ უდაოდ დიდი პოტენცია გააჩნიათ.“

**ვახტანგ კოპალეიშვილის** კომენტარი კი თავში გაგაცანით, ეს რა თამაში იყოო. გამარჯვებული მწვრთნელისგან ამის მოსმენა ჩვენთვის უჩვეულო და ამდენად სასიამოვნო იყო — ალბათ, სჯობს, „ცუდად“ ვითამაშოთ, მაგრამ მოვიგოთ, ვიდრე... იმედია, კოპალეიშვილი ბულგარეთიდანაც ასეთივე „უკმაყოფილო“ ჩამოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

## მწვრთნელი „კახეთსაც“ წაუვიდა

ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და I ჯგუფის ხუთმა გუნდმა მწვრთნელი შეიცვალა, „სიონის“, „სამტრედიის“, „დილას“, „შევარდენის“ და „სამგურალის“ მწვრთნელყოფილებს ახლახან კახელთა თავკაცი ჯემალ მახარაშვილიც მიემატა. იგი თავისი ნებით წავიდა გუნდიდან, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელობა არანაირ დახმარებას არ უწევდა. ასეთ პირობებში კი, მახარაშვილის თქმით, მუშაობას აზრი არ ჰქონდა.

# რა მინდოდა კვიპროსში?

**თბილისის „დინამოდან" კვიპროსში წასული სოსო ჭედიას შესახებ კარგა ხანია არაფერი გვსმენია. მას სხვა „კვიპროსელი" ლეგიონერებივით არც ნაკრებში იძახებდნენ და, ფაქტიურად, „დინამოს" ყოფილი კაპიტანი დაივიწყებას მიეცა. მხოლოდ წელს შეგვახსენა თავი — ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზის" მთავარმა მწვრთნელმა ჩეტვერიკმა ყველაზე დიდ წინასასეზონო შენაძენად კვიპროსიდან აყვანილი ჭედია დაასახელა. ჭედიას „კამაზში" გადასვლამ მაშინ ბევრი ჩემი ნაცნობი გააოცა. მათი ამგვარი რეაქცია სულაც არ იყო გასაკვირი, რადგან ბევრს ეგონა, რომ სოსომ ფეხბურთს საერთოდ დაანება თავი. ჩემი პირველი კითხვა სოსოს „კამაზში" გადასვლას ეხებოდა.**

— სეზონისწინა მზადებას „კამაზი" კვიპროსში გადიოდა. იმ დროს თავისუფალი აგენტი ვიყავი, მაგრამ ერთ-ერთ ადგილობრივ გუნდში ვემზადებოდი. ავსტრიაში მოღვაწე იუგოსლავი მწვრთნელის (გვარი არ მახსოვს) ხელშეწყობით პირველი დივიზიონის გუნდში ვაპირებდი გასასინჯად წასვლას. თანაც, მისი თხოვნით, არც ერთ გუნდთან არ უნდა დამემყარებინა ურთიერთობა. ამასობაში „კამაზიც" ჩამოვიდა. გაიგეს ჩემი ამბავი და კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს. ავსტრიელების ლოდინს ისევ რუსეთში გადასვლა ვამჯობინე. გუნდს კისლოვოდსკის შეკრებაზეც ვახლდი. შემდეგ „კამაზს" კვლავ კვიპროსში გავყევი მოსამზადებლად. შეკრების ბოლო დღეს კაპიტნის არჩევნები მოაწყვეს, გუნდმა ნდობა გამომიცხადა და კაპიტნად ამირჩია.

**— დაიწყო ჩემპიონატი და „სპორტ-ექსპრესს" შენთვის 6,0-ზე დაბალი შეფასება არ მოუცია. შენ კი მოულოდნელად „კამაზი" დატოვე. რა იყო მიზეზი?**

— გუნდში არსებული ფინანსური პრობლემები. საკონტრაქტო თანხა არ გადამიხადეს. როცა ვთხოვე, პირობები შემისრულეთ-მეთქი, მითხრეს, იქნებ ცოტაც მოითმინო და ფულსაც მოგცემთო. მაგრამ, რადგან მაისიდან სხვა გუნდში გადასვლა შემეძლო, რატომ უნდა დავრჩენილიყავი იქ, სადაც ხელფასისა და პრემიის გადახდა უჭირდათ?

**— ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოში, კერძოდ, „ოდიშში" რუსულ გუნდზე უკეთესი პირობები შემოგთავაზეს.**

— ჩემი წამოსვლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ზუგდიდელი ვარ. თანაც, მამის გარდაცვალების შემდეგ დედა მარტო დარჩა და იმ პირობების ნახევარიც რომ შემოეთავაზებინათ, „კამაზში" რომ მქონდა, მაინც ჩამოვიდოდი. მინდა, დავეხმარო ჩემიანებს, ფეხი აქ ავიდგი, როგორც ფეხბურთელმა და კარიერის დასრულებაც მშობლიურ გუნდში მსურს. ერთი წელი ვითამაშებ და, თუ რაიმეში გამოვადგები „ოდიშს", ამას რა სჯობს.

**— ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტე?**

— თუ უეფას რომელიმე თასისთვის ბრძოლის უფლებას მოვიპოვებთ, კიდევ ვითამაშებ, თუ არადა, ფეხბურთს თავს დავანებებ.

**— შემდეგ რას აპირებ?**

— ჯერჯერობით არ ვიცი.

**— მწვრთნელობაზე ხომ არ ფიქრობ?**

— არა. აზრადაც არ მომსვლია.

**— რატომ, ასე მოგბეზრდა ფეხბურთი? თუ მწვრთნელობა შენთვის მიუღებელი პროფესიაა?**

— არა, არც ფეხბურთი მომბეზრებია და არც მწვრთნელობაზე ვარ უარყოფითი აზრის. უბრალოდ, არ მაინტერესებს. ძალიან დიდი შრომა სჭირდება და სანერვიულოც ბევრია. მირჩევნია, უფრო მშვიდი სამუშაო ვნახო.

**— წელს გულშემატკივრები „ოდიშისგან" მეტს მოითხოვენ და ელიან. რა არის წარუმატებელი სტარტის მიზეზი — მოთამაშეები ჯერ ვერ შეთამაშდნენ?**

— შეუთამაშებლობაც ერთ-ერთი ფაქტორია. მაგრამ, გითხრათ სიმართლე, მიჭირს კიდეც მიზეზის ახსნა. ეს ჩემთვის გაუგებარია. შინ ბრწყინვალედ ვთამაშობთ, ყველა მეტოქეს ვამარცხებთ. „ოდიში" შინ და გარეთ რომ ნახოთ, ორი სხვადასხვა გუნდი გეგონებათ. ეტობა, დიდ გავლენას ახდენს ის, რომ ბოლო წლებში „ოდიშს" სულ გასავარდნად ჰქონდა საქმე და მოთამაშეებს ჯერ კიდევ არ გამოუმუშავებიათ გამარჯვებულთა ფსიქოლოგია. არადა, ამ ბიჭებით შეიძლება სამეულში ან ოთხეულში მოხვედრა. არის მეორე ფაქტორიც. მოგეხსენებათ, მურთაზ ხურცილავა როგორი მომთხოვნიცაა. მის დატვირთვებთან შეგუება კი ზოგიერთ მოთამაშეს ჯერ კიდევ უჭირს. მაგრამ დღითიდღე ვამჩნევ, რომ მდგომარეობა უმჯობესდება და ამიტომ იმედს არ ვკარგავთ. ჩემი აზრით, ოთხეულში მოხვედრა მაინც უნდა შევძლოთ.

**— შენთან ერთად „ოდიშში" ერთი ხანობა ფეხბურთიდან წასული მამუკა ფანცულაიაც მიიწვიეს. თქვენ „დინამოშიც" გითამაშიათ ერთად და უკეთ გეცოდინება — ბევრი უკლია „ოდიშელ" ფანცულაიას „დინამოელ" ფანცულაიამდე?**

— სანამ გიპასუხებდე, ერთს გეტყვი. ჩემთვის გაუგებარია, მამუკასნაირი მოთამაშე ასე უყურადღებოდ როგორ დატოვეს. ნუთუ ხურცილავას გარდა არც ერთ მწვრთნელს არ შესტკიოდა გული ფანცულაიაზე და არ ადარდებდათ, უფეხბურთოდ რომ იყო დარჩენილი? 29 წლის კაცია, რა დროს მისი ფეხბურთიდან წასვლა იყო? ფაქტიურად, ორი წელია, ფეხბურთი არ უთამაშია. ზუგდიდში რომ ჩამოვიდა, ზედმეტი წონა აწუხებდა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, 15 კილო დაიკლო. უნდა ნახოთ, ვარჯიშებზე როგორი მონდომებულია. თამაშითაც აშკარად უკეთ თამაშობს. პირველ შეხვედრებში არაფრით გამოუჩენია თავი, მერე და მერე კი მოუმატა. მჯერა, მალე მამუკა კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ქართულ ფეხბურთში.

**— შენ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში გითამაშია. რა განსხვავებას პოულობ მასა და ახლანდელ, მერვე ჩემპიონატებს შორის?**

— სხვათა შორის, პირველი ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონისა იყო. შედარებაც კი არ შეიძლება. მოთამაშეები ჯერ კიდევ არ იყვნენ უცხოეთში წასულები და ოთხიხუთი მართლაც ძლიერი გუნდი გვყავდა. მერე საქმე უკან-უკან წავიდა. მაგრამ წელს კონკურენცია აშკარად გაიზარდა. რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რომ ჩვენი ჩემპიონატი მაღალი დონისაა, მაგრამ მატჩებში დაძაბულობამ რომ იმატა და მოთამაშეთა კლასი რომ მაღლდება, ცხადია. ჩვენი ჩემპიონატის საერთო დონე, ჩემი აზრით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეც არის დამოკიდებული. ჩვენს ფეხბურთელებს იმის ნახევარი პირობები რომ შევუქმნათ, რუსულ გუნდებს რომ აქვთ, დამიჯერეთ, მათზე გაცილებით უკეთ ვითამაშებთ. როცა გუნდებს ელემენტალური პირობები არ გააჩნიათ, ძალიან მიკვირს, როგორ ვახერხებთ თუნდაც რუსული ფეხბურთის დონესთან მიახლოებას. ეს რომ ასეა, ამის დასტური „დინამოს" „ტორპედოზე" გამარჯვებაც იყო. მართალია, „ტორპედო" რუსეთში უძლიერესი არ გახლავთ, მაგრამ ეს გამარჯვება ჩვენთვის მაინც მეტად მნიშვნელოვანი იყო.

**...ისევ კვიპროსის თემას დავუბრუნდეთ. ნიქოზიის „ოლიმპიაკოსი", სადაც ჭედია გამოდიოდა, ბოლოს უხეიროდ თამაშობდა. სოსო იხსენებს:**

— 1992 წელს „ოლიმპიაკოსი" გავარდნის პირას იყო. ამ დროს, ყიფიანი და აკობია მიიწვიეს. აქედან დაიწყო გუნდის აღმასვლა. ყიფიანმა მე და კაჭარავა მიგვიწვია. პირველსავე წელს აუტსაიდერი გუნდი მეშვიდეზე გავიდა და თასის ნახევარფინალამდეც მიაღწია. „ოლიმპიაკოსისთვის" ეს მიღწევა იყო. მერე ჩემთვის გაუგებარი ამბები მოხდა — ყიფიანი გაათავისუფლეს და ადგილობრივი დანიშნეს, რომელსაც მწვრთნელობის არაფერი გაეგებოდა, ვარჯიშებზე უაზროდ გვარბენინებდა და შედეგიც, ბუნებრივია, ისეთი აღარ გვქონდა. გუნდის ინანა გუნდის ხელმძღვანელობამ ჩვენი მწვრთნელების გაშვება. აკობიას ახლაც სთხოვდნენ, იქნებ დაგვეხმარო და [illegible]

საერთოდ, კვიპროსში ფეხბურთის დონე ყოველწლიურად მაღლდება. თითქმის ყველა გუნდში უცხოელი [illegible] მუშაობენ — იუგოსლავები, გერმანელები, უნგრელები. მოთამაშეებსაც უცხოეთიდან იწვევენ. თუმცა, დიდი მონდომების მიუხედავად, მათი ჩემპიონატი ევროპის მოწინავე ქვეყნებისას მაინც ვერ გაუტოლდება.

**— პირადად შენ რა შეგძინა უცხოეთში გატარებულმა ხუთმა სეზონმა?**

— „დინამოდან" შვედეთის „სუნდსვალში" გადავედი. ერთი წლის შემდეგ კი ყიფიანის თხოვნით — კვიპროსში. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა. 25 წლის ბიჭს კვიპროსში რა მინდოდა? ფაქტიურად, ფეხბურთისთვის დავიკარგე. ევროპაში მათი ჩემპიონატი დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს და მეც წინსვლის საშუალება დავკარგე. კვიპროსში ფეხბურთელი მხოლოდ „სიბერისას" შეიძლება წავიდეს. ჩემი საქციელი დღემდე ვერ მომინელებია. შვედებთან ორწლიანი კონტრაქტი მქონდა და ძლიერ გუნდში მოხვედრის შანსი, ბუნებრივია, იქ უფრო გამოჩნდებოდა. ახალგაზრდებს ვურჩევ, თავი შეიკავონ ისეთი დაბალი საფეხბურთო დონის ქვეყანაში წასვლისაგან, როგორიც კვიპროსია. სჯობს, ერთი-ორი წელი მოითმინონ და არ დახარბდნენ ხუთი ათას დოლარიან ხელფასსა და კარგ ცხოვრებას. მერე იქნებ სადმე ძლიერ გუნდში მოხვდნენ. კარგი ცხოვრება თუ უნდათ, იქ უფრო არ ნახავენ? თუ კაცს ფეხბურთი უყვარს და მაღალ დონეზე თამაში სურს, ვფიქრობ, ასე მოიქცევა.

**— კვიპროსში რომ გადიოდი, ფეხბურთზე ფიქრობდი?**

— იცით, რაშია საქმე? შვედეთში მარტო ვიყავი და ძალიან გამიჭირდა. ამ დროს ყიფიანმა მიმიწვია და, როცა ჩვენებურებთან ყოფნის საშუალება გამიჩნდა, გამიხარდა, არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. თუმცა მაშინ არ მიფიქრია, რომ ეს ნაბიჯი ჩემი კარიერისთვის დამღუპველი იქნებოდა.

**— როგორ ფიქრობ, კვიპროსის პერიოდი რომ არა, შეეძლო სოსო ჭედიას დღეს ნაკრების წევრი ყოფილიყო და მეტისთვის მიეღწია?**

— არ ვიცი... თუმცა, რატომაც არა. თუნდაც კუდინოვი და გოგრიჭიანი — კვიპროსიდან მიიწვიეს ნაკრებში... ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ „სუნდსვალიდან" ცხადაძე „აინტრახტში" მოხვდა და მაღალ დონეზე თამაში შეძლო. მაგრამ, წარსულში რაც იყო, იმას ველარ გამოვასწორებ. ღმერთმა ქნას, რომ ქართულმა ფეხბურთმა მაღალ დონეს მიაღწიოს და მე რამე მეშველება.

**მერაბ მამულაშვილი**



ცხრილში ნაჩვენებია, რამდენჯერ აღინიშნა ესა თუ ის ანგარიში (ვთქვათ 0:0, 1:0, 0:1...) საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში (1936-1989 წ.წ.) ჩატარებული მატჩები.

დიაგონალზე, შავზე თეთრით აღნიშნულია ფრედ დამთავრებული მატჩების რაოდენობა, დიაგონალისგან მარჯვნივ — მოგებული მატჩების, ხოლო მარცხნივ — წაგებული მატჩების რიცხვი.

51 საფეხბურთო ჩემპიონატში, რომლებშიც დინამოელებს აქვთ მონაწილეობა მიღებული, აღინიშნა 48 სხვადასხვა ანგარიში, გარდა ამისა, ერთხელ დინამოელებს ჩაეთვალათ მოგება და ერთხელ — წაგება.

სულ „დინამომ" ჩაატარა 1424 მატჩი, მათგან 621 მოიგო (ჩატარებული მატჩების 43,6%), 406 ფრედ დაამთავრა (28,5%), ხოლო წააგო 397 (27,9%).

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, ყველაზე მეტი (178) დამთავრდა ანგარიშით 1:1 (12,5%); ანგარიშით 1:0 დინამოელებმა მოიგეს 150 მატჩი (10,5%); ფრედ — 0:0 — დამთავრდა 148 შეხვედრა (10,4%); ანგარიშით 0:1 წააგეს 108 შეხვედრა (7,6%), ხოლო ანგარიშით 2:1 თბილისელებმა მოიგეს 101 შეხვედრა (7,1%) და ა. შ.

ყველაზე დიდი ანგარიშით 9:2 დინამოელებმა მოიგეს ორი მატჩი, 7:0 — ერთი მატჩი, ხოლო ყველაზე დიდი ანგარიშით — 2:9 თბილისელებმა წააგეს ერთი შეხვედრა.

**შემდგენელი ზურაბ თედორაძე**

| ფრეები / დამარცხებები (გაშვებული ბურთები) | გამარჯვებები (გატანილი ბურთები) 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | ± |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 | | 150 | 100 | 57 | 23 | 10 | 3 | 1 | — | — | 1 |
| 1 | 108 | | 101 | 69 | 28 | 11 | 4 | 3 | — | — | — |
| 2 | 46 | 76 | | 20 | 12 | 7 | 2 | 3 | — | 2 | — |
| 3 | 34 | 31 | 30 | 15 | 6 | 4 | — | — | — | — | — |
| 4 | 8 | 16 | 11 | 2 | — | 2 | 1 | 1 | — | — | — |
| 5 | 8 | 8 | 3 | 1 | 2 | — | — | — | — | — | — |
| 6 | 1 | 6 | 3 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 7 | — | — | — | — | — | — | — | = | | + | |
| 8 | — | — | — | — | — | — | — | 406 | | 621 | |
| 9 | — | — | 1 | — | — | — | — | — | | სულ თამაშები | |
| ∓ | 1 | — | — | — | — | — | — | 397 | | 1424 | |


## საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა
### — ჩვენთვის და ჩვენი მომავლისათვის!

● სახელმწიფო თითოეულ მომავალ დედას აზღვევს ორსულობისა და მშობიარობის ხარჯებისაგან 500 ლარის ფარგლებში, ხოლო თითოეულ ახალშობილს — 1 წლის მანძილზე სამედიცინო მეთვალყურეობისა და მკურნალობის ხარჯებისაგან 2 000 ლარის ფარგლებში.

● მომავალო დედებო! აუცილებლად მიმართეთ ორსულობის 13 კვირამდე ქალთა კონსულტაციას, რათა გააფორმოთ დაზღვევა და მიიღოთ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის პოლისი.

● გახსოვდეთ: სადაზღვევო პოლისის ფლობა აუცილებელი პირობაა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით გათვალისწინებული უფასო მეთვალყურეობა და სამედიცინო დახმარება გაგიწიონ.



## უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის
### სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა

# სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. X ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — დუისბურგი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3.0 |
| ჰამბურგი — არმინია | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ვერდერი — შალკე | 1,15 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| კარლსრუე — ლევერკუზენი | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ჰანზა — შტუტგარტი | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| კიოლნი — ბაიერნი | 2,3 | 2,5 | 2,3 |

13 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — ბოხუმი | 1,6 | 2,8 | 3,8 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. X ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლ ცაისი — უნტერ.ჰახინგი | 1,5 | 2,6 | 5,0 |
| ურდინგენი — მეპენი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| კიკერსი — ფორტუნა კიოლნი | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| გიუტერსლო — ოლდენბურგი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ლაიპციგი — ლიუბერკი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ჰერტა — ცვიკაუ | 1,25 | 3,2 | 7,0 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნაიტედი — ლივერპული | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ბლექბერნი — არსენალი | 3,8 | 2,8 | 1,6 |
| დერბი — ნიუკასლი | 3,8 | 2,8 | 1,6 |
| ევერტონი — ვესტ ჰემი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ლიდსი — ნოტინჯემი | 1,5 | 2,7 | 4,7 |
| ტოტენჰემი — ასტონ ვილა | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| უიმბლდონი — შეფილდი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ლესტერი — ჩელსი | 2,7 | 2,7 | 2,0 |

13 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — საუთჰემპტონი | 1,7 | 2,7 | 3,4 |

14 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სანდერლენდი — მიდლსბრო | 2,1 | 2,6 | 2,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XII ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტსმუთი — ჩარლტონი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ქუინზ პარკი — მანჩესტერ სიტი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — ჰადერსფილდი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| სვინდონი — ოქსფორდი | 1,5 | 3.0 | 4.0 |
| ბარნსლი — კრისტალ პალასი | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| საუთენდი — ვულვერჰემპტონი | 2,9 | 2,9 | 1,8 |
| ბირმინგემი — ბრედფორდი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ნორვიჩი — იფსვიჩი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ბოლტონი — ოლდემი | 1,05 | 5.0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,0 | 4,0 |
| პორტვეილი — სტოკ სიტი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| რედინგი — გრიმსბი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ტრანმერი | 1,6 | 2,6 | 4,2 |

### შოტლანდია. VIII ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — დანფერმლაინი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| სელტიკი — მოზერველი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ჰიბერნიანი — რეინჯერსი | 5,6 | 3,0 | 1,35 |
| რეით როვერსი — ჰართსი | 2,2 | 2,7 | 2,2 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რენი - კანი | 1,6 | 2,5 | 4,4 |
| ნიცა — მონპელიე | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ოსერი — ლანსი | 1,4 | 2,8 | 5,6 |
| ლილი — ნანტი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| მეცი — პარი სენ ჟერმენი | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ბორდო — ნანსი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,45 | 3,4 | 3,2 |
| ლე ავრი — ლიონი | 1,8 | 2,5 | 3,3 |
| მარსელი — კაენი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,45 | 3,4 | 3,2 |
| სტრასბური — გინგამი | 1,4 | 2,8 | 5,6 |

### იტალია. სერია A. V ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ლაციო | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| ინტერი — პიაჩენცა | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| რომა — მილანი | 2,0 | 2,5 | 2,9 |

13 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — სამპდორია | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| კალიარი — პარმა | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| ნაპოლი — უდინეზე | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| პერუჯა — ატალანტა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| რეჯანა — ვერონა | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ვიჩენცა — იუვენტუსი | 3,1 | 2,7 | 1,8 |

### იტალია. სერია B. VI ტური

13 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — კიევო | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| დი სანგრო — რავენა | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ჩეზენა — პესკარა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| პალერმო — ემპოლი | 1,5 | 2.8 | 4,4 |
| კოზენცა — ბრეშია | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| კრემონეზე — პადოვა | 2.0 | 3,0 | 2,4 |
| ფოჯა — ვენეცია | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| ჯენოა — ლეჩე | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| ლუკეზე — რეჯინა | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ტორინო — სალერნიტანა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტური

12-13 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სევილია — ვალენსია | 2,2 | 2,5 | 2,4 |
| ლოგრონიესი — სპორტინგი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| კომპოსტელა — ბარსელონა | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| ტენერიფე — ვალიადოლიდი | 1,25 | 3,1 | 8,0 |
| სარაგოსა — ბილბაო | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| სოსიედადი — ესტრემადურა | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| რასინგი — რეალი | 2,8 | 2,8 | 1,9 |
| ესპანიოლი — სელტა | 1,3 | 2,9 | 7,0 |
| ოვიედო — დეპორტივო | 2,3 | 2,5 | 2,8 |
| რაიო ვალეკანო — ერკულესი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ატლეტიკო — ბეტისი | 1,5 | 2,6 | 5,0 |

### პორტუგალია. VI ტური

13 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სეტუბალი — ბელენენსეში | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ლეირია — ჟილ ვისენტე | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| შავეში — ბრაგა | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| სალგეირუში — ბენფიკა | 6,5 | 3,0 | 1,3 |
| ფარენსე — რიუ ავე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ამადორა — გიმარაეში | 2,0 | 2,5 | 2,9 |
| სპორტინგი — პორტუ | 1,8 | 2,5 | 3,3 |
| ბოავიშტა — ლეცა | 1,25 | 3,1 | 8,0 |

### რუსეთი. XXXI-ე ტური

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი (მ) — ჩერნომორეცი | 1,2 | 3,6 | 6,5 |
| როტორი — ბალტიკა | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |
| დილა — ჟემჩუჟინა | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ტექსტილშჩიკი — ზენიტი | 1,45 | 3,2 | 4,0 |
| ლოკომოტივი (ნნ) — როსტსელმაში | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კრ. სოვეტოვი — ტორპედო | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| სპარტაკი — დინამო | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ურალმაში — კამაზი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ცსკა — ალანია | 1,6 | 3,0 | 3,4 |

### სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებიდან

12 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დენიზლისფორი — ბეშიქთაში | 8,0 | 3,8 | 1,15 |
| ვალვაიკი — ფეიენოორდი | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| ბრედა — ტვენტე | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| სტანდარდი — ლომელი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| გენტი — ლოკერენი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ლიერსი — სერკლ ბრიუგე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ეკერენი — შარლერუა | 1,9 | 2,6 | 3,0 |
| ზალცბურგი — შტურმი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| აუსტრია — ლინცი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| ტიროლი — რიედი | 1,1 | 4,0 | 10,0 |

13 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჩე — ბურსასფორი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| ისტანბულსფორი — ტრაბზონსფორი | 5,3 | 2,9 | 1,4 |
| სამსუნსფორი — გალათასარაი | 5,6 | 3,0 | 1,35 |
| ჰერენვენი — სპარტა | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| გრააფსხაპი — ვიტესი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| უტრეხტი — აიაქსი | 3,8 | 3,1 | 1,5 |
| ბრიუგე — მეხელენი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| აარაუ — ქსამაქსი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| ბაზელი — სენტ გალენი | 1,5 | 2,7 | 4,7 |
| ლოზანა — სიონი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ციურიხი — გრასჰოპერი | 4,0 | 3,0 | 1,5 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

ინგლისი (IX ტური) 24 და ნაკლები - 1,9 26 და მეტი 1,9
იტალია (V ტური) 22 და ნაკლები - 1,9 24 და მეტი 1,9
ესპანეთი (VII ტური) 28 და ნაკლები - 1,9 30 და მეტი 1,9

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

15 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) — ბოავიშტა | | ანგარიში — 4.5 | | |
| ლევსკი — ბეშიქთაში | (1,8-1,6) | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| სლავია — ვალენსია | (7,5-1,05) | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| გიმარაეში — ანდერლეხტი | (2,0-1,5) | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| კარლსრუე — რომა | (3,1-1,25) | 1,9 | 2,6 | 3,0 |
| ჰელსინგბორგი — ქსამაქსი | (2,0-1,5) | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ესპანიოლი — ფეიენოორდი | (1,6-1,8) | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ბრიუგე — ნაციონალი | (1,1-5,0) | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| მიონხენგლადბახი — მონაკო | (1,7-1,7) | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ინტერი — გრაცერი | (— -10,0) | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| აბერდინი — ბრონდბიუ | (2,0-1,5) | 1,7 | 2,9 | 3,2 |
| მეცი — სპორტინგი | (1,9-1,55) | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ფერენცვაროში — ნიუკასლი | (7,5-1,05) | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| შალკე — ტრაბზონსფორი | (1,35-2,5) | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ლაციო — ტენერიფე | (1,35-2,5) | 1,4 | 3,0 | 5,0 |

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი — სპარტაკი | (1,3-2,8) | 1,2 | 3,4 | 7,0 |

## CROCO-2

**ტირაჟი №76**

1. კარლსრუე — ლევერკუზენი
2. კიოლნი — ბაიერნი
3. მანჩესტერ იუნ. — ლივერპული
4. დერბი — ნიუკასლი
5. ტოტენჰემი — ასტონ ვილა
6. ლესტერი — ჩელსი
7. ფიორენტინა — ლაციო
8. რომა — მილანი

**ტირაჟი №77**

1. დიუსელდორფი — ბოხუმი
2. ქოვენთრი — საუთჰემპტონი
3. სანდერლენდი — მიდლსბრო
4. ბოლონია — სამპდორია
5. კალიარი — პარმა
6. ვიჩენცა — იუვენტუსი
7. რასინგი — რეალი
8. ოვიედო — დეპორტივო

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა. IV ტური. 10 ოქტომბერი

# ლიგაში დაუმარცხებელი აღარავინაა

### A ჯგუფი

**სტეფანელი (იტალია) — ცსკა (რუსეთი) 87:74**

სტეფანელი: პორტალუპი (21), ფუჩკა (16), ბოვი (15)

ცსკა: ბაზარევიჩი (21), ვები (11), დაინეკო (11)

2 700 მაყურებელი

**ლიმოჟი (საფრანგეთი) — ულქერი (თურქეთი) 84:80**

ლიმოჟი: ბონატო (26), ფლემინგი (13), გლასი (11)

ულქერი: რენკინი (21), ენე (18), გოდფრიდი (11)

5 000 მაყურებელი

ფრანგთა გამთამაშებლის იან ბონატოს წყალობით მასპინძლები მე-12 წუთზე 10 ქულით დაწინაურდნენ (31:21), ხოლო ტაიმი 13 ქულით მოიგეს. მატჩის მიწურულს ლიმოჟელებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს და ბოლო წუთზე ანგარიში 77:77 გახდა. ფრანგებს ამერიკელმა უშველა: ჯერალდ გლასმა სირენამდე 30 წამით ადრე ჩააგდო და „ლიმოჟს" წელს პირველად გაამარჯვებინა.

**პანიონიოსი (საბერძნეთი) — მაკაბი (ისრაელი) 69:74**

პანიონიოსი: ხრისტოდულუ (10), გედლინი (9)

მაკაბი: ჯონსონი (12), რადოვიჩი (9)

3 000 მაყურებელი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტეფანელი | 4 | 3 | 1 | 313:293 | 7 |
| მაკაბი | 4 | 3 | 1 | 298:277 | 7 |
| ულქერი | 4 | 2 | 2 | 310:297 | 6 |
| პანიონიოსი | 4 | 2 | 2 | 302:305 | 6 |
| ცსკა | 4 | 1 | 3 | 290:312 | 5 |
| ლიმოჟი | 4 | 1 | 3 | 297:326 | 5 |

### B ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ციბონა (ხორვატია) 62:61**

ოლიმპიაკოსი: ანდერსონი (19), ფასულასი (13), ტარლაცი (11)

ციბონა: მულაომეროვიჩი (20), რადულოვიჩი (7), მარცელიჩი (7)

7 000 მაყურებელი

მატჩის ბედი ბოლო წამზე გადაწყდა. ბერძენმა ჯეელმა დიმიტრის პაპანიკოლაუმ ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და „ციბონას" პირველი მარცხი აგემა. „ოლიმპიაკოსის" რიგებში საუკეთესო იყო ამერიკელი ვილი ანდერსონი, რომელმაც 9 ბურთი მოხსნა. ხორვატთა გამთამაშებელმა დამირ მულაომეროვიჩმა დაამტკიცა, რომ ევროპის ამ ამპლუის მოთამაშეთა შორის ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა.

**ესტუდიანტესი (ესპანეთი) — შარლერუა (ბელგია) 94:72**

ესტუდიანტესი: ვილიამსი (18), ტომფსონი (17), აისა (16)

შარლერუა: ვოიციკი (25), ელისი (20)

**ტიმსისტემი (იტალია) — ალბა (გერმანია) 82:72**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | 301:280 | 7 |
| ციბონა | 4 | 3 | 1 | 297:269 | 7 |
| ტიმსისტემი | 4 | 3 | 1 | 324:312 | 7 |
| ესტუდიანტესი | 4 | 2 | 2 | 305:306 | 6 |
| ალბა | 4 | 1 | 3 | 285:303 | 5 |
| შარლერუა | 4 | 0 | 4 | 295:337 | 4 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — კროაცია (ხორვატია) 72:50**

ხორვატებმა 18-ჯერ ისროლეს სამქულიანი და მხოლოდ სამი ჩააგდეს. ამასთანავე, მეორე ტაიმში 8 წუთი ისე ითამაშეს, რომ ქულაც კი ვერ აიღეს. „პანათინაიკოსში" ყველაზე შედეგიანი იყო ამერიკელი ჯონ ამეჩი — 17 ქულა.

**ვილერბანი (საფრანგეთი) — ოლიმპია (სლოვენია) 70:69**

ვოკა სტეფანიას „ოლიმპიას" თავისუფლად შეეძლო მოგება. ბოლო წამებზე სლოვენებმა ზედიზედ ორი საჯარიმო ააცდინეს, ხოლო ტუშეკის სირენისთანავე ნასროლი ბურთი რგოლზე დაბზრიალდა და მოედანზე გადმოვარდა. „ვილერბანმა" ტაიმი 8 ქულით წააგო. დამთავრებამდე 64 წამით ადრე „ოლიმპია" 69:64 იგებდა. მაშინ ფრანგების ამერიკელმა დელანი რადმა სამქულიანი ჩააგდო. შემდეგ კი სლოვენთა შეცდომების წყალობით მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

**ბარსელონა (ესპანეთი) — ბაიერი (გერმანია) 90:71**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 307:271 | 7 |
| ვილერბანი | 4 | 3 | 1 | 282:274 | 7 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 2 | 271:266 | 6 |
| ოლიმპია | 4 | 2 | 2 | 299:280 | 6 |
| კროაცია | 4 | 2 | 2 | 251:268 | 6 |
| ბაიერი | 4 | 0 | 4 | 267:318 | 4 |

### D ჯგუფი

**ელან ბერნე (საფრანგეთი) — ეფესი (თურქეთი) 80:78**

ელან ბერნე: რიგოდო (36), დიუბო (18), ტ. გადუ (11)

ეფესი: ნაუმოსკი (32), ბესოქი (10), ევლიაოღლუ (10)

6 000 მაყურებელი

**კინდერი (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 100:83**

კინდერი: კომაზეცი (35), სავიჩი (20), პრელევიჩი (18)

პარტიზანი: ბერიჩი (26), ტომაშევიჩი (21), ჩუბრილო (11)

**კახა სან-ფერნანდო (ესპანეთი) — დინამო (რუსეთი) 91:61**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 4 | 3 | 1 | 331:297 | 7 |
| ეფესი | 4 | 2 | 2 | 312:300 | 6 |
| კახა | 4 | 2 | 2 | 317:306 | 6 |
| ელან ბერნე | 4 | 2 | 2 | 305:311 | 6 |
| პარტიზანი | 4 | 2 | 2 | 310:319 | 6 |
| დინამო | 4 | 1 | 3 | 279:321 | 5 |

## ევროპის თასი
## IV ტური. 8 ოქტომბერი

### A ჯგუფი

ნობილესი (პოლონეთი) — სკავოლინი (იტალია) 93:87; ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ასკ (ლატვია) 107:88; რაბოტნიჩკი (მაკედონია) — პოლზელა (სლოვენია) 89:91

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 4 | 4 | 0 | 360:314 | 8 |
| პოლზელა | 4 | 3 | 1 | 340:333 | 7 |
| სკავოლინი | 4 | 2 | 2 | 353:342 | 6 |
| ასკ | 4 | 2 | 2 | 372:368 | 6 |
| ნობილესი | 4 | 1 | 3 | 327:350 | 5 |
| რაბოტნიჩკი | 4 | 0 | 4 | 324:369 | 4 |

### B ჯგუფი

ჟალგირისი (ლიტვა) — ანტიბი (საფრანგეთი) 65:57; ზაგრები (ხორვატია) — სლობოდა დიტა (ბოსნია) 90:65; სენტ-პოლტენი (ავსტრია) — ვოლტექსი (სლოვენია) 78:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 4 | 3 | 1 | 309:231 | 7 |
| ანტიბი | 4 | 3 | 1 | 302:271 | 7 |
| ზაგრები | 4 | 3 | 1 | 275:273 | 7 |
| სენტ-პოლტენი | 4 | 1 | 3 | 281:297 | 5 |
| ვოლტექსი | 4 | 1 | 3 | 279:301 | 5 |
| სლობოდა | 4 | 1 | 3 | 272:345 | 5 |

### C ჯგუფი

რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) 59:60; ულმი (გერმანია) — პლევენი (ბულგარეთი) 103:80; მზტ (მაკედონია) — პაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) 65:55

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 1 | 327:315 | 7 |
| რეალი | 4 | 3 | 1 | 338:263 | 7 |
| ულმი | 4 | 2 | 2 | 365:351 | 6 |
| მზტ | 4 | 2 | 2 | 316:339 | 6 |
| პლევენი | 4 | 2 | 2 | 366:406 | 6 |
| პაპოელი | 4 | 0 | 4 | 273:311 | 4 |

### D ჯგუფი

პორტუ (პორტუგალია) — პსჟ რასინგი (საფრანგეთი) 90:79; პაგენი (გერმანია) — ნიუ ვეივი (შვედეთი) 79:72; აპოელი (კვიპროსი) — პაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 76:89

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 4 | 0 | 357:282 | 8 |
| პაპოელი | 4 | 3 | 1 | 338:319 | 7 |
| პსჟ | 4 | 2 | 2 | 344:291 | 6 |
| პაგენი | 4 | 2 | 2 | 325:325 | 6 |
| აპოელი | 4 | 1 | 3 | 295:353 | 5 |
| ნიუ ვეივი | 4 | 0 | 4 | 257:326 | 4 |

### E ჯგუფი

შლიონსკი (პოლონეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი) 86:84; ზადარი (ხორვატია) — პერცოგენბოსი (ჰოლანდია) 69:87; აქილეასი (კვიპროსი) — გენტი (ბელგია) 72:91

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შლიონსკი | 4 | 3 | 1 | 331:313 | 7 |
| ირაკლისი | 4 | 3 | 1 | 375:323 | 7 |
| გენტი | 4 | 2 | 2 | 315:310 | 6 |
| პერცოგენბოსი | 4 | 2 | 2 | 343:342 | 6 |
| ზადარი | 4 | 2 | 2 | 297:311 | 6 |
| აქილეასი | 4 | 0 | 4 | 312:374 | 4 |

### F ჯგუფი

ბუდიველნიკი (უკრაინა) — აპოლონი (საბერძნეთი) 89:79; აკვარიუსი (რუსეთი) — უნივერსიტატია (რუმინეთი) 98:80; სტავექსი (ჩეხეთი) — სუნაირი (ბელგია) 65:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სუნაირი | 4 | 4 | 0 | 307:279 | 8 |
| ბუდიველნიკი | 4 | 3 | 1 | 366:293 | 7 |
| აპოლონი | 4 | 2 | 2 | 364:295 | 6 |
| სტავექსი | 4 | 2 | 2 | 340:316 | 6 |
| აკვარიუსი | 4 | 1 | 3 | 303:348 | 5 |
| უნივერსიტატია | 4 | 0 | 4 | 284:433 | 4 |

### G ჯგუფი

შახტიორი (უკრაინა) — ტდკ (ესპანეთი) 90:85; ავტოდორი (რუსეთი) — ტორპან პოიატი (ფინეთი) 84:81; ინტერი (სლოვაკეთი) — ბეოცინი (იუგოსლავია) 59:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავტოდორი | 4 | 4 | 0 | 354:320 | 8 |
| ბეოცინი | 4 | 3 | 1 | 337:274 | 7 |
| ტორპანი | 4 | 2 | 2 | 325:290 | 6 |
| ტდკ | 4 | 2 | 2 | 313:318 | 6 |
| შახტიორი | 4 | 1 | 3 | 318:361 | 5 |
| ინტერი | 4 | 0 | 4 | 260:324 | 4 |

## კორაჩის თასი. II ტური. 9 ოქტომბერი

### A ჯგუფი

სატექსი (სლოვენია) — არისი (საბერძნეთი) 70:75; ოსიეკი (ხორვატია) — უსკ (ჩეხეთი) 87:73

### B ჯგუფი

ჰაპოელი (ჰოლონი, ისრაელი) — უნიკახა (ესპანეთი) 79:80; ბეშიქთაში (თურქეთი) — კელუში (პორტუგალია) 72:52

### C ჯგუფი

ბეობანკა (იუგოსლავია) — მონპელიე (საფრანგეთი) 87:60; სამარა (რუსეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 89:81

### D ჯგუფი

კასტორსი (ბელგია) — ოლიმპია (იტალია) 82:78; ბამბერგი (გერმანია) — დენდი-ბასკეტი (უკრაინა) 74:76

### E ჯგუფი

ტელეკომპი (ხორვატია) — ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 66:48; ტაუგრესი (ესპანეთი) — პეპინსტერი (ბელგია) 87:66

### F ჯგუფი

მეისუ (თურქეთი) — ბიპა-მოდა (უკრაინა) 64:62; ნანსი (საფრანგეთი) — ინტერიერი (სლოვენია) 82:87

### G ჯგუფი

გისენი (გერმანია) — ლაჰტი (ფინეთი) 75:63; პერისტერი (საბერძნეთი) — ზორკა ფარმა (იუგოსლავია) 84:67

### H ჯგუფი

ჰერცლია (ისრაელი) — მაზოვშანკა (პოლონეთი) 89:78; კაჩივა (იტალია) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 97:72

### I ჯგუფი

ბანკა დი რომა (იტალია) — სპარტაკი (იუგოსლავია) 87:78; ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — თოფაში (თურქეთი) 66:89

### J ჯგუფი

გრანადა (ესპანეთი) — ალბაკომპი (უნგრეთი) 93:80: ბაიროიტი (გერმანია) — კალევი (ესტონეთი) 86:91

### K ჯგუფი

სპორტინგი (საბერძნეთი) — ბანიკი (სლოვაკეთი) 74:63; პლანია ბასკეტი (შვედეთი) — ცსკ ვვს (რუსეთი) 77:70

### L ჯგუფი

ლევალუა (საფრანგეთი) — მაკაბი (რიშონი, ისრაელი) 73:90; სპარტა (ჩეხეთი) — ბენსტონი (ხორვატია) 63:90

### M ჯგუფი

ასტრა (შვედეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 71:79; ოვარენშე (პორტუგალია) — პაოკ (საბერძნეთი) 85:99

### N ჯგუფი

კომფორტი (პოლონეთი) — სპარტაკი (პეტერბურგი, რუსეთი) 90:71; ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კასერესი (ესპანეთი) 90:93

### O ჯგუფი

ოლიმპასი (ლიტვა) — ზრინიევაცი (ხორვატია) 77:82; როგასკა დონატი (სლოვენია) — ბენეტონი (იტალია) 80:106

### P ჯგუფი

ეშტეირა (პორტუგალია) — ტალი (გერმანია) 84:99; ჰუტპალენი (ბელგია) — დიჟონი (საფრანგეთი) 78:75





თამაზ იმნაიშვილი

# საწყალი მწყრები

მწყრები გვიმრავლოს ღმერთმა და ქართველ მესტენდურებს საწვრთნელ პრაქტიკას რა გამოულევს. ეს ისე, ხუმრობით, სერიოზულად კი...

თამაზ იმნაიშვილს ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ სტენდზე არ უვარჯიშია, ან კი სად უნდა ევარჯიშა, სასროლეთი, რომელზეც ადრე გვარდიის ქვედანაყოფი ბინადრობდა, გაძარცული და გავერანებულია, აღსადგენად და მოსაწყობად საჭირო სახსრები კი არც სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციას აქვს, არც სპორტის დეპარტამენტს. იმნაიშვილიც, სხვა რა გზა ჰქონდა, მწყრებზე ნადირობით ცდილობდა სპორტული ფორმის შენარჩუნებას და, უნდა ითქვას, შედეგიანადაც.

სექტემბრის ბოლოს იტალიის ქალაქ მონტეკატინიში თამაზმა ჩინებულად იასპარეზა მსოფლიო თასის სუპერფინალში: 145 ქულით 2-4 ადგილები გაიყო ატლანტის ოლიმპიადის [illegible] დრეა ბელენისა და ბრინჯაოსან პოლონელ მიროსლავ რზეპკოვსკისთან. დამატებით ხელზე უკეთესი იტალიელი იყო, მესამეზე რზეპკოვსკი გავიდა, თამაზს კი მეოთხე ადგილი ერგო. ამ სამეულს ატლანტის ოლიმპიადის ვიცეჩემპიონმა იტალიელმა ენიო ფანკომ აჯობა 147 ქულით.

მსოფლიო თასის სუპერფინალში მსოფლიოს თასებზე გამარჯვებულნი და ოლიმპიური პრიზიორები მონაწილეობდნენ. თამაზ იმნაიშვილმა მსოფლიო თასის ერთ-ერთ გათამაშებაში ანდრეა ბელენისთან ერთად მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 125-დან 125, მაგრამ დამატებით სროლებში პირველობა იტიალიელს დაუთმო. მიუხედავად ამისა, როგორც მსოფლიოს რეკორდსმენს იმნაიშვილს პერსონალური მიწვევა გამოუგზავნეს. უვარჯიშებელი სპორტსმენისთვის თორმეტ უძლიერეს მესტენდურში მეოთხედ ყოფნა უთუოდ კარგი შედეგია.

წლეულს ბოლო შეჯიბრებად ჩვენი მესტენდურები „მშვიდობისა და მეგობრობის თასის" მეცხრე გათამაშებას გეგმავენ, რომელიც საბერძნეთში გაიმართება 5-11 ნოემბერს. გეგმავენ იმის იმედით, რომ გასამგზავრებელი თანხა გამოინახება, თუ არა... ეჰ, როგორი გასაცდენია A კატეგორიის ტურნირი, რომელშიც 30-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს...

ბოლოს კი ეს უნდა ვთქვათ აუცილებლად: საქართველოში სტენდის აღდგენა ერთობ საშური საქმეა — ამით ცალკე ჩვენი ჩუბინები იხეირებენ და ჩვენც გვახეირებენ, ცალკეც მწყრები ინავარდებენ არხეინად ქართული ცის ქვეშ. ესაც ისე, ხუმრობით...

ერეკლე კიკილაშვილი

## ელიტარული მაკა

ახლახან იტალიის ქალაქმა პრატომ მოზარდ ევროპელ ჩოგბურთელთა შეჯიბრს უმასპინძლა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ევროპაში 8-8 საუკეთესო იწვიეს, ასე რომ, ფაქტობრივად, „მასტერსის" ეს ტურნირი რჩეულთა ასპარეზობა გახლდათ. აი, სწორედ ასეთ სანაქებო კომპანიაში იყოჩაღა მაკა ჩახნაშვილმა, რომელიც თოთხმეტ წლამდე გოგონებში მესამე იყო. ტურნირის მონაწილენი ევროპის ჩოგბურთის ასოციაციამ თავისი ხარჯებით კი მიიწვია, მაგრამ ამათ ხომ მწვრთნელებიც უნდა ხლებოდნენ. სხვებისთვის ეს რა პრობლემაა, ჩვენთვის კი... მოკლედ, ვერა და ვერ მოიძია საიმისო თანხა, რომ მაკას მწვრთნელი გურამ თოხაძე გაჰყოლოდა. ბატონმა გურამმა გამოსავალი ასეთი მოძებნა: მოსკოველ კოლეგას იგორ ბოგოროდეცკის დაუკავშირდა და ჩახნაშვილიც მოსკოველებს გაჰყვა ტურნირზე. ამ პირობებშიც კი, უმწვრთნელოდ, ჩახნაშვილმა მაინც შეძლო თავის გამოჩენა, მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო ხორვატ მეტოქესთან, რომელიც მერე ჩემპიონიც გახდა. თანატოლებში აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონი მაკა ჩახნაშვილი ამ ტურნირის წინ ევროპაში მე-5 და მსოფლიოში მე-9 იყო რეიტინგით, პრატოს შემდეგ კი, რომელში წარმატებაც ყველა უმაღლესი კატეგორიის შეჯიბრზე მეტ ქულებს იძლევა რეიტინგისთვის, იგი საგრძნობლად აინაცვლებს თანატოლთა საევროპო და მსოფლიო ნუსხაში.

კოტე მგალობლიშვილი



# ძველები ჯერ ისვენებენ

9 ოქტომბერი. ოტავა — აილენდერსი 3:3, მონრეალი — ლოს-ანჯელესი 6:3, დეტროიტი — ედმონტონი 2:0; ჩიკაგო — ანაჰაიმი 0:2, კალგარი — სენტ-ლუისი 1:3, ვანკუვერი — ბუფალო 1:2

დღის ცენტრალური მატჩი დეტროიტისა იყო. მასპინძლებმა ერთპიროვნულ ლიდერს, ედმონტონს ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს და მე-13 წუთზე გაუტანეს კიდეც — ტეილორის დარტყმულ შაიბას კოზლოვმა მიმართულება შეუცვალა. ამის შემდეგ ორივე კართან ბლომად იყო საგოლე მომენტი, მაგრამ ვერცერთმა მხარემ იხეირა. ბოლო წამებზე სტუმრებმა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს, მასპინძელთა მცველმა როუზმა კი შაიბა მოიხელთა და ცარიელ კარში გაიტანა. დეტროიტმა პირველად მოიგო, მეკარე ოსგუდმა თავისი პირველი „მშრალი" მატჩი ჩაატარა.

ასეთივე შედეგი ჩიკაგოშიც დაფიქსირდა. ეს უკვე მეექვსე შემთხვევაა ჩემპიონატის დაწყებიდან, როდესაც ერთი გუნდი უგოლოდ სტოვებს მოედანს. მეორე შაიბა სელიანემ უმცირესობაში შეაგდო, რუსმა შტალენკოვმა კი 26-ე დარტყმა მოიგერია.

ვანკუვერში დიდ ინტერესს იწვევდა ყოფილი თანაკლუბელების მოგილნის და ლაფონტენის დუელი, მაგრამ ამჯერად ისინი დაჩრდილა მასპინძელთა მეორე რუსმა ვარსკვლავმა ბურემ, რომელმაც ჩეხ მეკარე ჰაშეკს მე-14 წამზევე გაუტანა ჩემპიონატის ჯერჯერობით უსწრაფესი გოლი. შემდეგ ჰაშეკმა უშეცდომოდ ითამაშა და მისი წყალობითაც იყო, სტუმრებმა რომ ორი ქულა წაიღეს.

კვლავ გამოიჩინეს თავი ახალბედებმა. სანამ კალგარიში გუნდების ლიდერები, მასპინძელთაგან ფლერი და სტუმართაგან კორსონი მუშტებით უსწორდებოდნენ ერთმანეთს, დებიუტანტებმა იგინლამ და კემპბელმა თავიანთი მეორე შაიბები შეაგდეს. სენტლუისელ კემპბელის დახმარებით 42 წუთზე მეროუმ მესამეც გაიტანა.

ოტაველმა დეიგლამ, რომელსაც აგერ უკვე მეორე წელიწადია, პერსპექტიულ ჰოკეისტად მიიჩნევენ; თამაშის დამთავრებამდე ორი წამით ადრე აღადგინა წონასწორობა აილენდერსთან შეხვედრაში.

იყოჩაღა შარშანდელმა საუკეთესო ახალბედამ ალფრედსონმა — 2 გოლი, 1 პასი.

ჩემპიონატის სტარტზე გუნდების ლიდერები აქტიურობით არ გამოირჩევიან, რაც საერთო შედეგიანობასაც ეტყობა. 6 მატჩში მხოლოდ ერთმა გუნდმა შეაგდო სამზე მეტი შაიბა. ტექნიკურმა მონრეალმა ექვსჯერ გაამწარა ლოსანჯელესები, თანაც, ახალგაზრდა კოიკუს დ სავაჟისა და გამოცდილი რეკის ტრიომ 10 ქულა შესძინა გუნდს. რეკი 7 (4+3) ქულით ბომბარდირთა სიას ლიდერობს. ლოსანჯელესმა პერომ თავისი მესამე შაიბა შეაგდო.

10 ოქტომბერი. ფილადელფია — ლოს-ანჯელესი 5:4, რეინჯერსი — დალასი 1:2, ფინიქსი — სან-ხოსე 4:1

რეინჯერსმა უკვე მესამედ წააგო, ამჯერად დალასთან, რომელიც ორი წელია ვერბიკით, ზუბოვით და ნიუინდაიკით გაძლიერდა და ტექნიკურადაც ათამაშდა. დალასელებმა შეძლეს მეტოქის ლიდერების ნეიტრალიზება — მესიეს არყოფნაში (ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია) გრეცკიმ მხოლოდ ერთის გატანა მოახერხა. სამაგიეროდ, ვერბიკი ორივე საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა. ფინექსელი და სანხოსელი ვეტერანები გარტნერი და ნიკოლზი რომ კვლავ ყოჩაღად გამოიყურებიან, ამაში მათი გუნდების შეხვედრამაც დაგვარწმუნა. პირველმა წინა მატჩის ჰეთ-თრიქს (კარიერაში მე-17) ერთიც დაამატა და 668 გოლით ნჰლ-ში მეხუთეა. მატჩის არბიტრმა ჯეკსონმა 104 საჯარიმო წუთი „გამოუწერა" მეტოქეებს და ორი მოთამაშეც გააძევა.

ლინდროსის არყოფნამ მეორე არცთუ იოლი გამარჯვება გაახერხა ფილადელფიამ — ოვერტაიმის პირველ წუთზე ბრინდამორმა იმარჯვა. ლიტველმა ზუმბურსმა, რომელიც ფილადელფიამ წლევანდელ დრაფტში ამოარჩია, თავისი მეორე გოლი გაიტანა.

სამველ ლარიბიანი

## ჩოგბურთი

### დაღალულან

დიდი ჩოგბურთელები — მსოფლიოს მეორე და მესამე ჩოგნები: ამერიკელი მაიქლ ჩანგი და ავსტრიელი თომას მუსტერი. ორივე მეორე წრეში გამოეთიშა ამ კვირაში მიმდინარე ტურნირებს.

ჩანგი ამჯერად პეკინში ასპარეზობდა, სადაც პირველი პრიზი 43 ათასი დოლარია. წარმოშობით ჩინელმა ჩანგმა კვირას სინგაპურულ ფინალში უეცარი მარცხი იწვნია, ახლა კი ხუთშაბათსვე 3:6, 4:6 წააგო ჩეხ მარტინ დამთან.




იქვე, იმავე დღეს ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ექს-კანადელმა, ან კი ბრიტმა გრეგ რუზეცკიმ 6:7 (4-7), 7:6 (7-3), 6:1 რომ დაამარცხა ფრანგი ჟან-ფილიპ ფლერიანი, ბოლო ბურთი უშუალოდ მოწოდებიდან ჩაუგდო. ამაში, უცნაური და სარეკორდო, აბა, რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა — ბურთი თურმე 225 კმ-სთ სიჩქარით გატყორცნა, რაც ატპ-ის ტურზე აქამდე დაფიქსირებულ შედეგებში საუკეთესო ყოფილა.

**მუსტერი** შინ, ვენაში თამაშობდა და თუ გაიმარჯვებდა, ჩანგზე ბევრად მეტს — 125 ათასს მოიხვეჭდა.

პირველ წრეში თომასმა (1) საათნახევარში 7:5, 6:4 დაამარცხა იტალიელი ჯან-ლუკა პოცი, მაგრამ გამოტყდა, ლონდონში გახმაურებული საქმის გასარჩევად სტუმრობამ, გაციებამ და სარეკლამო აქციებმა რიტმიდან ამომაგდესო. მართლაც, ხუთშაბათს მუსტერი კი გაუძალიანდა შვედ „პენსიონერ" სტეფან ედბერგს, მაგრამ მაინც დამარცხდა 4:6, 7:6 (7-2), 5:7. ედბერგი ძეძდეგ ხრეში ეთამაშება განუთესელ პოლანდიელ იან სიმერინკს, ვინაც სტეფანს ნორჩი თანამემამულე თომას ენკვისტი (8) 7:6 (8-6), 7:5 გაუგდო.

გავარდნენ სხვა ბობოლებიც. ფრანგმა არნო ბეჩმა პირველ წრეში დაამარცხა მარსელო რიოსი (ჩილე, 6) 6:2, 6:4, ბორის ბეკერმა (გერმანია, 5) კი თანამემამულე მიხაელ შტიხს 3:6, 6:3, 6:4 აჯობა. მესამე წრეს უწიეს ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა (2) და რუსმა ევგენი კაფელნიკოვმაც (3).

**ქალები** ფილდერშტადტში (გერმანია) შეკრებილან. იქაურ გამარჯვებულს პეკინელ ჩემპიონ ვაჟზე მეტს — 79 ათასს მისცემენ.

სარბიელზე ისევ გამოჩნდა ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი. მან პირველ წრეში 7:6 (10-8), 6:3 დაამარცხა თავისსავით ჩაფერფლილი ვუნდერკინდი, ბელარუსი ნატაშა ზვერევა, მაგრამ მეორეში 4:6, 4:6 წააგო არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან (ესპანეთი), ვინაც პირველ ნომრადაა განთესილი. ახლა ამას ელის 16 წლის შვეიცარელი მარტინა ჰინგისი (8), ვინაც ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა) 6:1, 7:5 გააგდო. საწყისი ეტაპები წარმატებით დაძლიეს სხვა განთესილებმაც — კონჩიტა მარტინესმა (ესპანეთი, 2), შარშანდელმა ჩემპიონმა ივა მაიოლიმ (ხორვატია, 3), ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლინდზი დავენპორტმა (4), გერმანელმა ანკე ჰუბერმა (5) და ჩეხმა იანა ნოვოტნამ (6), მაგრამ წააგო არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ — 5:7, 4:6, შვედ ასა კარლსონთან.

**იქეთა კვირაში** ციურიხში ევროპის კავშირის ჭერქვეშა პირველობა გაიმართება. ბეჭისა და მუხლის ტკივილის გამო მას ადრევე გამოაკლდა ამერიკელი მონიკა სელეში, ამ კვირაში კი მისმა მთავარმა მეტოქემ — გერმანელმა შტეფი გრაფმაც განაცხადა, რომ მუხლის ტრავმის გამო ვერც ის იასპარეზებს. საგულისხმოა, რომ ეს უკვე ზედიზედ მეოთხედაა, რაც გრაფი ამ შეჯიბრს აცდენს.

**1994 წლის** 18 სექტემბერს, 40 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი და პლეიბოი ვიტას გერულაიტისი. იგი გაგუდული იპოვეს მეგობრის კოტეჯში, სადაც საქველმოქმედო ლონისძიების შემდეგ შუადღეზე წაუძინა.

ვიტასის სიკვდილის მიზეზი იყო სახლის გათბობის სისტემის გაუმართაობა — მილებს მხუთავი ნახშირჟანგა გაზი გარეთ გატანის მაგივრად შინ შეჰქონდათ.

საქმე სასამართლოში წინა კვირაში გაირჩა, მაგრამ დამნაშავე მექანიკოსი, ვინმე ბართლომიუ თორფლიცა და მისი ფირმაც — „ისთ ენდ ფულზ ენდ ქორთს" გაამართლეს.

## რაგბი

# შლეგლოდ, ოდენ გოლებით

საქართველოს XXIX პირველობა

### ექვსეულის მეხუთე ტური

ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი

ვაკე. სინის X გათამაშება

**გუმარი 21: 9 ყოჩები**

(9:9). მსაჯი (დრო): პაატა ნარიმანაშვილი (41+47)

გუმარი (მფლობელი): ჯიმშელაძე; ობოლაძე, ჩიქვინიძე, ბესელია, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, მოდებაძე; მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე; ქერდიკაშვილი (ჯანელიძე, 42), მჭედლიშვილი; პარწიკანაშვილი (სორდია, 51), კობახიძე, დიდებულიძე. — 6ს (8, 25, 40, 65, 72, 82) და ა (59): მოდებაძე

ყოჩები (მოცილე): ენუქიძე; ლიპარტელიანი, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, ნიკლაური; ტეფნაძე, გიორხელიძე; ხურცილავა (ჩიქოვანი, 47), ჩიქავა, ახვლედიანი; სულთანიშვილი (გუშარაშვილი, 47), ლეჟავა; ურუშაძე, ა. ჭელიძე (ცხვედიანი, 66), ტყეშელაშვილი. — 2ს (5, 22) და ა (15): ტეფნაძე

**ქორები 29: 0 გელათი**

მსაჯი გოჩა აბაშიძე

5ლ: ცქიტიშვილი - 2, ასათიანი, სიხარულიძე, კვინიხიძე; 2გ: კვინიხიძე

გააძევეს წეველიძე (ქორები)

რუსეთთან შეხვედრის წინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 19 | 17 | 0 | 2 | 564:169 | 78-12 | 34 |
| ყოჩები | 19 | 15 | 0 | 4 | 619:151 | 88-10 | 30 |
| ქორები | 19 | 13 | 0 | 6 | 397:164 | 52-13 | 25 |
| აია | 19 | 10 | 0 | 9 | 429:248 | 55-28 | 19 |
| აზოტი | 19 | 6 | 1 | 12 | 165:437 | 19-65 | 12 |
| გელათი | 19 | 6 | 1 | 12 | 238:519 | 19-79 | 12 |

საქართველო — რუსეთის მატჩის გამო ექვსეულის შეჯიბრში ორკვირიანი არდადეგები დაიწყო. შემდეგი ტური 24 ოქტომბერს გაიმართება.

### სანუგეშო ხუთეული

8. X. ჩოლოყაშვილის სახელობის ლეგიონი. ასკ 26 (3ლ: ჭიპაშვილი - 2, აბუსერიძე; გ: აბუსერიძე; 2ს, ა: ძამიაშვილი) — უნივერსიტეტი 3 (ს: კურატიშვილი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 5 | 5 | 0 | 0 | 127: 36 | 18- 4 | 10 |
| ლელო | 3 | 2 | 0 | 1 | 62: 29 | 9- 3 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 34: 26 | 4- 3 | 3 |
| უნივერსიტ. | 4 | 0 | 1 | 3 | 22: 63 | 1- 6 | 1 |
| ყოჩები II | 3 | 0 | 0 | 3 | 20:131 | 4-13 | 0 |

სინი ამ დღეს საიუბილეოდ, მეათედ გათამაშდა. იგი მერვედ მოიგო „გუმარმა", რაც მრავლის მეტყველია. არანაკლებ საგულისხმოა ამ კლუბისა და საქართველოს ნაკრების კაპიტნის დიმიტრი ობოლაძის ნაამბობიც: ბებიამისი თურმე ისე შეჩვევია შინ დაბუდებულ ამ ჯილდოს, რომ შეუცხადებია, სად მიგაქსო, როცა შვილიშვილს სინი კედლიდან ჩამოუხსნია და ვაკეში დაუპირებია წაღება, რათა „ყოჩთა" მორიგი ხელყოფისაგან დაეცვა.

თამაშს ხალხი მრავლად დაესწრო. ეტყობოდა, ყველას თვალ-და-თვალ სურდა ნაკრების კანდიდატთა მზადყოფნის შემოწმება.

ამ გუნდების წინა მატჩების დარად, ამჯერადაც ჭიდილი იყო მრავლად, ბურთაობა კი ნაკლებად. არც ლელო გასულა. ჩვენი რანგის სარაგბო სკოლების საზოგადო ჭირია, რაგბის არსი რომ ეწირება სასურველი შედეგის მიღწევას.

„ყოჩები" 9:3 დაწინაურდნენ, მაგრამ 9:21 დამარცხდნენ. მათმა დამრტყმელმა ექვსი ცდიდან სამი გოლი გაიტანა, მისმა „გუმარელმა" კოლეგამ კი — რვიდან შვიდი!

„ყოჩები" ვიდრე დერეფანს იგებდნენ, ანგარიშში არ ჩამორჩებოდნენ. მერე „გუმარის" შერკინება იძალებდა და მოდებაძეც ქულებად აქცევდა თანაგუნდელთა ნაამაგარს. ასე გამეორდა ორივე ტაიმში.

შესვენებამდე ტეფნაძესა და მოდებაძეს ერთი დარტყმაც არ გასცუდებიათ, რაც რუსეთთან თამაშის წინ იმედიანად განგვაწყობს. „გუმარმა" ძალზედ ეფექტური, თანამედროვე, სამფაზიანი იერიში განახორციელა მე-11 წუთზე, ტაიმის მიწურულს კი ალინუსხა სავალალო, 4-წუთიანი მონაკვეთი, როცა მსაჯმა ვერაფერი მოუხერხა შერკინებას, რომელიც წარა-მარა ტრიალებდა და თავიდან დასანიშნი ხდებოდა.

თუ კაპიტანი ობოლაძე შესვენებამდე გარემარბად იდგა, შესვენების შემდეგ შერკინების ფრთაზე დაბრუნდა. „ყოჩებს" ისევ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ტეფნაძეს ორი დარტყმა გაუცუდდა. მერე მოდებაძესაც მოეცარა ხელი, მაგრამ პალიკო ჯიმშელაძის კონტრიერიშით დაწყებული მიძალება არეკნით დაასრულა და თავისიანები წინ პირველად გაიყვანა.

„ყოჩები" არ გამტყდარან, მაგრამ გარდატეხის შანსი ფაქტობრივად ალარც მისცემიათ. „გუმარი" ჯობდა მეტოქეს და საჯარიმოებსაც მალი-მალ ათამაშებდა, რათა ისინი ხელახლა დაემსახურებინა კარში დასარტყმელად უმჯობეს ადგილას. მათი დამრტყმელი „შოკაც" მეთოდურად ზრდიდა ანგარიშს.

თამაშის ბოლოს შეცდომებით მოცული უანგარიშო ბურთაობაც გაჩაღდა. მანამდე „ყოჩმა" ირაკლი ჩიქავამ დერეფნის მერე კინაღამ გაიტანა ლელო, ჯიმშელაძემ კი კიდევ ერთი გრძელი რეიდი განახორციელა.

ახლა რუსეთთან თამაშის ჯერია. სტუმრები თბილისს მატჩის წინადღით, 19 ოქტომბერს ჩამოფრინდებიან.

მათი პირველობა წინა კვირაში დასრულდა. სამი ქართველის მყოლმა პენზის კლუბმა, ვისაც მერე ადგილი ადრევე დაებევებინა, კრასნოიარსკში 17:36 წააგო ჩემპიონ „კრასნი იართან". როსტოვის გუნდი ციმბირს არ ჩავიდა, რისთვისაც ორგზის 0:30 ნაგება მიესაჯა და 2 ქულაც დაექვითა.

საბოლოო ცხრილი

„სპორტ-ექსპრესის" მიხედვით

| სუპერ-ლიგა | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კრასნი იარ | 17 | 1 | 2 | 491:247 | 35 |
| რპ პენზა | 13 | 1 | 6 | 512:259 | 27 |
| სსა „ვე-ვე-ა" | 12 | 0 | 8 | 395:298 | 24 |
| სიბ-წიაჟ-მაშ (კრ) | 10 | 1 | 9 | 423:287 | 21 |
| ემპილს (როსტოვ) | 6 | 1 | 11 | 361:440 | 11 |
| სკა პვო (პეტერბ) | 0 | 0 | 20 | 156:807 | 0 |

ერთი ქართველი პენზელი — ფრთის მორკინალი გია ლაბაძე სინის თამაშის დღეს უკვე თბილისში იყო, მეორე — ნიკოლოზ იურინი კი გუშინ ჩამოვიდოდა. „ბორჯღალოსნები" საფრანგეთიდან ელიან ვევბა მორკინალებს — გია რაფავასა და ვანო ნადირაძეს. იტალიაში მოთამაშე გარემარბ არჩილ ქავთარაშვილს ნეკნი მოუტეხია, ამიტომ მისი ჩამოსვლა ნაკლებ სარწმუნო ყოფილა. სამაგიეროდ, მატჩის ეშხიანი აფიშები და ბილეთები ევროპიდან უკვე შემოუზიდავთ. ერთნი მალე გაიკვრება თბილისის მაღაზიების ვიტრინებში, მეორენი კი — გაიყიდება!


„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


### პაატა ლიტვაში

მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში, 5 ოქტომბერს ქართველმა პაატა ნარიმანაშვილმა რომ იმსაჯა, ლიტვამ შინ 26:3 დაამარცხა ლუქსემბურგი.

### ჯადოქარი ნაკრებში ვერ ხვდება

ზედიზედ ორ უქმეებზე ფიჯი სტუმრად ეთამაშა ჰონკონგს და ჯერ 64:11 მოუგო, მერე კი 37:16.

ეს გასაკვირი სულაც არაა, რაკილა ზღვისრეთელთა 22-კაცა გუნდიდან მხოლოდ ხუთი მორაგბე თამაშობს შინ, დანარჩენები კი ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის მოწინავე გუნდების წევრები არიან.

ფიჯელთა ძალაზე მეტყველებს ისიც, რომ მათმა მწვრთნელმა, ზელანდიის „ოლ ბლექსის" ყოფილმა ბურჯმა ბრედ ჯონსთონმა გუნდში არ შეიყვანა შვიდკაცას ჯადოქარი ვაისალე სერევი, რომელსაც აქამდე ფრთაზე ათამაშებდა ხოლმე.

### მერდოქისეული რევანში

მორიგი გადატრიალებაა რაგბის ძეცდომილში — ლიგის, 13-კაცა ბურთაობაში. წინა პარასკევს სიდნეის სააპელაციო სასამართლომ განიხილა მედიის ბარონ რუპერტ მერდოქის სარჩელი და გააუქმა ფედერალური სასამართლოს თებერვლისეული განჩინება, რომლითაც მერდოქის ფულითა და ნაქეზებით ავსტრალიის რაგბის ლიგიდან (არლ) გამოყოფის მსურველი კლუბების სუპერლიგას 2000 წლამდე დაედო ყადაღა.

მერდოქმა განაცხადა, რომ ავსტრალიის სუპერ-ლიგა გაისად თებერვალში გახსნის პირველ სეზონს. იგი 10-გუნდიანი იქნება. არლ-ს 12 წევრი შერჩა. იგი მაინც არ ნებდება და თავისი შეჯიბრების გამართვას გაისადაც აპირებს. ერთი სიტყვით, 1997 წელს ავსტრალიაში ერთბაშად ორი, თანაც მოშუღარი ლიგა იმოქმედებს, რაც უფსკრულს კიდევ უფრო გააღრმავებს, მით უფრო, თუ სუპერ-ლიგა თამაშის წესების შეცვლასაც აპირებს.




ბადრი კეთილაძის ფოტო

რომში გამართულ რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მესამე საყოველთაო კრებას, საქართველოს დელეგატებიც — ჩვენი რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი რომ დაესწრნენ, მოყვა ირბ-ის ალმასკომის საშუალედო სხდომა, რომელმაც თამაშის ზოგი ახალი წესი შემოიღო. ისინი მთელს მსოფლიოში 4 ნოემბრიდან ამოქმედდება.

### წესებს უსაშველოდ ართულებენ

ამიერიდან ნებადართულია მოთამაშეთა ტაქტიკური მოსაზრებებით შეცვლაც, რასაც ექს-საბჭოეთში ფეხბურთის ანალოგიით ოდითგან სჩადიოდნენ. აი, საცოდავ უცხოელ მორაგბეებს კი თვალთმაქცობა უნევდათ, რაკი წესებით აქამდე ოდენ დაშავებულის შეცვლა შეიძლებოდა. ჰოდა, მოთამაშეებიც მსაჯს ატყუებდნენ, ესაო და ისე დავშავდი, რომ თამაშს ველარ გავაგრძელებ და შესაცვლელი ვარო.

როგორც ირბ-ის თავმჯდომარემ, უელსელმა ვექილმა ვერნონ ბიუმ შენიშნა, ეს ახალი წესი რაგბის ზნეობას ერთობ არგებს. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ კანონმდებლებმა ამ ერთხელაც დაამტკიცეს, თუ რამდენად მართალი ყოფილა ინგლისის ყოფილი კაპიტანი ქარლინგი, როცა რაგბის მამები „ბებერ მუცლის ქარებად" მოიხსენია.

საქმე ისაა, რომ კარგი საწყისი ამ ახალ წესშიც გაბათილებულია ყურით მოთრეული შეზღუდვებით. თურმე ნუ იტყვით, გუნდს ამიერიდან შეუძლია ექვსი კაცის შეცვლა, მაგრამ ამათგან ტაქტიკური ოდენ ხუთი შეიძლება იყოს და ორი მათგანი აუცილებლად შერკინების წინა ხაზს უნდა ეხებოდეს. თუ რა საჭიროა წესის ამდენად გართულება, ირბ-ელთა გარდა ძნელად რომ ვინმეს უწყოდეს.

მოთამაშეთა უსაფრთხოებისათვის ამიერიდან აიკრძალა შერკინებაში მორაგბეთა დამატება. ამავე მიზნით დერეფანში ამხტარი კაცისთვის ხელის შეშველება შეიძლება მხოლოდ წელს ზემოთ.

ორი შესწორება შეიტანეს შვიდკაცას წესებშიც. ორივე სიახლე 13-კაცა რაგბიდანაა გადმოღებული. თამაშს მოედნის შუაგულიდან ამიერიდან განაახლებს არა ბურთის გამშვები, არამედ გამტანი გუნდი, ლელოებს კი ცალკე თანამსაჯები მოემსახურებიან.

### ურჯულობა მკაცრად დაგმეს!

ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფეი) ამხილა და სასტიკად დასაჯა ოთხი არგენტინელი მხედარი: ოსკარ ფუენტესი, რიკარდო კიერკეგორი, ფრედერიკო კასტანი და ხუსტო ალბახრეინი.

ამათ დაუმტკიცეს, რომ ატლანტის ოლიმპიადისათვის ცხენების მზადებისას იყენებდნენ არა-ჰუმანურ მეთოდებს. სახელდობრ, ეს კონკურისტები წინალობებს უკეთებდნენ მავთულხლართებსა და ლურსმნებს, რათა ბედაურები ტკივილის შიშით უფრო მაღლა გადამხტარიყვნენ.

ფეი-მ ულირს მხედრებს ნახევარწლიანი საერთაშორისო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, საქმის გარჩევის ხარჯების ზღვა დააკისრა და მათი შედეგები ოლიმპიადის შედეგთა ნუსხიდანაც ამოშალა. ისე კი, ატლანტაში არგენტინას ოდენ მე-17 ადგილი დაეკავებინა.

## ველორბოლა

### სენს არ ეპუება

ლუგანოში (შვეიცარია) ოთხშაბათს [illegible] საგზატკეცილო ველორბოლის მსოფლიო პირველობა. მასში არ მონაწილეობს [illegible] ამერიკელი ლანს არმსტრონგი, 1993 წელს მსოფლიო ჩემპიონი რომ ყოფილა, საფრანგეთის ტურებზე ორ ეტაპი მოუგია, ორჯერ კი აშშ-ის უპირველეს ველოტურში — დიუპონისაში გაუმარჯვია.

25 წლის არმსტრონგმა 8 ოქტომბერს პრეს-კონფერენცია გამართა მშობლიურ ოსტინში (ტეხასი). მან მედიას განუცხადა, რომ სჭირდა სათესლე ჯირკვლის კიბო, რის გამოც წინა კვირაში სიმსივნე მოიკვეთა, მაგრამ ახლა მუხთალმა სენმა ხელი მთლად დარია და მუცლის ღრუსა და ფილტვებს მოედო. ამის გამოა, რომ ლანსს ქემოთერაპიის სამთვიანი კურსი ელის.

ექიმების მტკიცებით, ველოსიპედისტის სრულად განკურნების ალბათობა 80 პროცენტამდეა. თავად არმსტრონგი იმედიანადაა განწყობილი და ამბობს, ვარჯიშს არ მევწყვეტ, ოღონდ იმის გამო, რომ ქემოთერაპია ორგანიზს ასუსტებს, დღეში ველოსიპედით 50 მილზე მეტს ველარ გავივლიო.

არმსტრონგი ხუთი წელია, რაც პროფესიონალია. მისი ამერიკული გუნდი „მოტოროლა" ესპანეთის ტურის შემდეგ დაიშალა, ლანსმა კი ახალ ფრანგულ გუნდ „კოფიდისთან" მოაწერა ხელი ორწლიან კონტრაქტს.

უტეხი ველოსიპედისტი კიბოს თავიდან აცილების კამპანიაში აპირებს ჩაბმას. მისი მტკიცებით, სათესლის კიბოს საზოგადოება დღესდღეობით ისე უყურებს, როგორც სარძევე ჯირკვლის კიბოს ამ 10-15 წლის წინათ. ლანსის აზრით, კაცებს ერცხვინებათ ავადობის დროულად ალიარება, რის გამოც სენის დროულად მოშთობა ვერ ხერხდებაო. აი, მე ამ ხუთი წლის წინ რომ მიმექცია ყურადღება გადიდებული ცალი ჯირკვლისთვის და მემკურნალა, დღეს ამ დღეში არ მნახავდითო.

არმსტრონგი წლევანდელ საფრანგეთის ტურს ბრონქიტის გამო VI ეტაპის შემდეგ შეეშვა, ატლანტაში კი მე-12 ადგილი დაიჭირა.



არმსტრონგი და მისი გერლ-ფრენდი ლიზა შილზი პრეს-კონფერენციისას
აპ-ის ფოტო

ლუგანოში ოთხშაბათ-ხუთშაბათს სინაუქის გამოცდები ძიოწყო. ქალებმა 26,4 კილომეტრზე ირბოლეს, ვაჟებმა — 40,4 კილომეტრზე.

ქალთა ჩემპიონი გახდა 38 წლის ფრანგი ჟანი ლონგო, ვინაც დისტანცია 35 წუთსა და 16 წამში გალია. მან 51 წამით აჯობა მეორე ადგილზე დარჩენილ ფრანგ კატრინ მარსალს, ხოლო 56-ით — ბრინჯაოს პრიზიორ ალესანდრა კაპელოტოს (იტალია). რუსი ოლიმპიური ჩემპიონი ზულფია ზაბიროვა გამარჯვებულს 1.15-ით ჩამორჩა. ამ გამარჯვებით ლონგო 16 წლის მანძილზე მე-11-ედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და მე-12 ტიტულსაც მოიხვეჭს, თუ დღეს 100-კილომეტრიან რბოლაში გაიმარჯვებს.

ვაჟთაგან უჩაუქესი ვუელტას გამარჯვებული, 27 წლის მასპინძელი ალექს ცულე იყო. მან დისტანცია 48.13-ში გალო. მასთან 39 წამი წააგო ბრიტანელმა ქრის ბორდმენმა, ხოლო 41 წამი — ასევე შვეიცარელმა თონი რომინგერმა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29